

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №1**

ქ. თბილისი

2016 წლის 31 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. აბესაძე ნინო 5. გოგინავა უშანგი 6. თუთბერიძე ბეჟანი 7. მაჭავარიანი ლია 8. ხაჩიძე მანანა 9. ბეჟაური ბეჟა 10. ბახტურიძე შაატა 11. თოდუა ნონა 12. კვირიკაშვილი ბახვა 13. კუპრაძე ირაკლი 14. მარგველაშვილი ვლადიმერი 15. ოკრიბელაშვილი ნინო 16. წერეთელი მარი 17. შამილიშვილი მანანა 18. ლორთქიფანიძე ლევანი 19. საბაური შალვა 20. ჟვანია ირინე 21. ლორია კახაბერი 22. გორდემიანი ლევანი 23. გელოვანი ნანი 24. თაბუაშვილი აპოლონი 25. ბრაჭული ირაკლი 26. ოთხმეზური გიორგი 27. პაიჭაძე თამარი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. შაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. ქურდაძე რამაზი 3. გალდავა გიორგი 4. სურგულაძე ნუგზარი 5. სამსონია შოთა 6. ომანაძე როლანდი 7. მარშავა ქეთევანი 8. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის საქმიანობის ანგარიშის დამტკიცება

2. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის №27/2016 დადგენილების დამტკიცება

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწმის საკითხი

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვა

5. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ერმი ქემოკლიძემ და საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი სალარეიშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის საქმიანობის ანგარიში. ბატონი ირაკლი სალარეიშვილის განცხადებით, დოკუმენტში თავმოყრილია ადმინისტრაციის სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის დეტალური ანგარიში, შესრულებული გეგმები და პროექტები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა ლევან გორდემიანმა და ბექა თუთბერიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის საქმიანობის ანგარიში (დანართი 3)

2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ბატონმა რამაზ ბოჭორიშვილმა წარმოადგინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის №27/2016 დადგენილება. მისი განცხადებით, დადგენილებით იცვლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის №27/2016 დადგენილება (დანართი 4)

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა ერმი ქემოკლიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის საკითხი. მისი განმარტებით, უნივერსიტეტში მოქმედმა სპეციალურმა კომისიამ აღწერა და ჩამოსაწერად მოამზადა ამორტიზებული და გამოუყენებელი აქტივები, რომელთა ჩამოწერის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილება წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა მიიღოს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიყეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის თაობაზე. (დანართი 5)

4. რექტორისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსმა, ქალბატონმა მზეცალა აჭაიძემ წარმოადგინა აკადემიური საბჭოს აკადემიური საბჭოს 2015 წლის ანგარიში. მისი განცხადებით, ანგარიშში მოცემულია აკადემიური საბჭოს მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის ანგარიში (დანართი 6) მიღებულ იქნეს ცნობად.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან გორდეზიანმა წარმომადგენლობით საბჭოს შესთავაზა დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებებს მოამზადებს.

დროებითი სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების საკითხმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ქალბატონებმა - მანანა ხაჩიძემ, თამარ პაიჭაძემ და ნონა თოდუამ, ბატონებმა - კახაბერ ლორიამ, ლევან ლორთქიფანიძემ, ირაკლი კუპრაძემ, შალვა საბაურმა, ბახვა კვირიკაშვილმა, პაატა ბახტურიძემ, გიორგი ოთხმეზურმა, ირაკლი ბრაჭულმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: 2

მიღებული გადაწყვეტილება: შეიქმნას უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების მომზადების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: კახაბერ ლორია, ლევან გორდემიანი და ბახვა კვირიკაშვილი.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:

კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:

დიმიტრი გეგენავა


სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2016 წლის 31 მარტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- აბესაძე ნინო



სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი



- ხომერიკი რამაზი


- თუთბერიძე ბეჟანი 

- მაჭავარიანი ლია 

- გეგეჭკორი არნოლდი

- ხაჩიძე მანანა 

სტუდენტები:

- ბექაური ბექა 

- ბახტურიძე პაატა 

იურიდიული ფაკულტეტი


პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი

- ცისკაძე მარიამი

- თოდუა ნონა 

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ზახვა 

- კუპრაძე ირაკლი 

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

პ. იმნაძე
6.09.2023

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

მ. წერეთელი

მ. შამილიშვილი

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ლ. ლორთქიფანიძე
შ. საბაური

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

ი. ჟვანია

- ჩახუნაშვილი ნინო


სტუდენტები:

- დადემუქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი



Handwritten signatures in blue ink, corresponding to the list of professors. The signatures are: 1. ლორია კახაბერი, 2. გორდეზიანი ლევანი, 3. გელოვანი ნანი, 4. თაბუაშვილი აპოლონი, 5. ბრაჭული ირაკლი, 6. ოთხმეზური გიორგი, 7. პაიჭაძე თამარი.

სტუდენტები:

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა


თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2016 წლის 31 მარტი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)



- ქურდაძე რამაზი

- ცერცვაძე თენგიზი

- გალდავა გიორგი




- კოპალეიშვილი მია

- სურგულაძე ნუგზარი



- სამსონია შოთა



- ომანაძე როლანდი



- სილაგაძე ავთანდილი

- მარშავა ქეთევანი



- ჭკუასელი ქეთევანი

- აბაშიძე თამარი



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ანგარიში

2015 წელი

I. სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა

2015 წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ინიციატივით, პერმანენტულად წარმოებდა სამუშაო შეხვედრები მიმდინარე სამეცნიერო, საგრანტო და საორგანიზაციო საკითხებზე; პერიოდულად მიმდინარეობდა ადგილობრივი/საერთაშორისო ფონდების (SRNSF, EU HORIZON2020, GRDF/CRDF, USTC, NATO, ISTC, SNF, TEMPUS და სხვა) საგრანტო საკონკურსო პირობების გაცნობა, ინფორმაციის გავრცელება. საკონკურსოდ წარსადგენი საგრანტო პროექტების წინასწარი მონიტორინგი, აღრიცხვა და, საჭიროებისამებრ, კონსულტაციების განწევა; პერმანენტულად მიმდინარეობდა საერთაშორისო ფონდების ადგილობრივ წარმომადგენლობებთან კონსულტაციები საგრანტო კონკურსებში თანამშრომლობის მიზნით; ინსტიტუტებთან იმართებოდა შეხვედრები ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის გარშემო; პერიოდულად მიმდინარეობდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა/მონიტორინგი; მუდმივად მიმდინარეობს უცხოელ ექსპერტთა ბაზის შევსება და დოქტორანტთა ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირება; განხორციელდა მუშაობა სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „თსუ მეცნიერების“ სამეცნიერო-საორგანიზაციო ფუნქციის უზრუნველსაყოფად; მუდმივად მიმდინარეობს დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირება (500-ზე მეტი კორესპონდენცია - 2015 წელს); მომზადდა თსუ რექტორისთვის სამეცნიერო აქტივობის მიმოხილვა; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოთხოვნის საფუძველზე მომზადების პროცესშია თსუ-ის 2015 წლის სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში.

დეპარტამენტმა სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და პასუხისმგებელ პირებთან ერთად მონაწილეობა მიიღო შემდეგი წესების/დებულებების/სტანდარტების მომზადება/განახლებაში:

„კანონი უმაღლესის განათლების შესახებ“ კონსულტაციებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად; თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების შემუშავება/დამტკიცება; თსუ მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების შემუშავება/დამტკიცება; თსუ პერსონალისათვის შემუშავდა და მიღებულ იქნა მინიმალური სამეცნიერო სტანდარტი (ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან).

სამეცნიერო სფეროში მომზადდა და განახლდა: პოსტდოქტორანტურის შესახებ მიღებული დებულების თანახმად გამოცხადებულია მიღება საკონკურსო და არასაკონკურსო წესით; ამოქმედებულია „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური ეთიკისა და სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელი პერსონალის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულება. კონკრეტული განცხადების შესაბამისად ხდება კომისიის ფორმირება და პირველი შეკრების ორგანიზება (*მოცემული პერიოდისათვის ოთხმა კომისიამ დაასრულა, ხოლო ერთი აგრძელებს მუშაობას*); საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თსუ-ის ინსპექტირების განხორციელების ხელშეწყობა.

დეპარტამენტის ჩართულობითა და ხელშეწყობით: პირველად გაიყა „ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია“ და ჩატარდა „იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიის დარგში სამეცნიერო კონფერენცია“; ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმი; გამოიყა 2014-2015 წლებში ფორუმებზე წაკითხულ მოხსენებათა კრებული; ჩატარდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსისათვის თსუ-დან წარსადგენი პროექტების რანჟირება; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული „მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის“ ფარგლებში თსუ-ის ღირსეულად წარმოჩენა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან და ელსევიერთან ერთად მეცნიერებისა და განვითარების ფორუმის ორგანიზება; თსუ ფიზიკის ინსტიტუტში არსებული ქვეკრიტიკული სტენდის მაღალი გამდიდრების სანვავის რუსეთის ფედერაციაში გატანაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობა; თსუ ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალის „Proceeding of A. Razmadze Mathematical Institute“ სათაურის შეცვლა და ელსევიერის ელექტრონულ სისტემაში განთავსება; თსუ-ის სხვადასხვა რანჟირების სისტემაში ჩართვის მიზნით ინფორმაციის შეგროვება/მიწოდება; იუნესკო სტატისტიკის ინსტიტუტის კითხვარისთვის (2015 Research and Experimental Development Survey) ინფორმაციის შეგროვება/მიწოდება.

2015 წელს დეპარტამენტის მხარდაჭერით ჩატარდა: პოსტდოქტორანტების დაჯილდოება (13.03); „GRID ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებების დასახმარებლად“ პრეზენტაცია (30.03); სემინარი - **როგორ დავწეროთ მსოფლიო დონის სამეცნიერო სტატია** (How to write world class paper). მომხსენებელი: ქ-ნი ევა კიტელ-პრეისი (Ms. Ewa Kittel-Prejs, Journals Publishing Director Eastern Europe, Elsevier) (15.04); ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი (23-24.04); კონფერენცია „გადამწერის შეცდომებიდან ახალ ტექსტებამდე: შეიძლება თუ არა შეიცვალოს წმიდა წერილი“ (30.04-3.05); ევროკომისიის საინფორმაციო დღეები და ტრენინგები (9-11.09); სამეცნიერო ფესტივალში თსუ-ის მონაწილეობა (10-17.11).

დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგებსა/ სამუშაო შეხვედრებში: TEMPUS IV, 6 კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტის „Development of Embedded System Courses with implementation of Innovative Virtual approaches for integration of Research, Education and Production in UA, GE, AM - DESIRE 544091-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPCR“ სამუშაო შეხვედრა / ტრენინგი (1-4.02, **ერევანი**; 6-20.06 **ანტვერპენი**); ამავე პროექტის ფარგლებში ტრენინგი ილმენაუს ტექნიკურ უნივერსიტეტში (13-25.04); სამუშაო ვიზიტი ევროპა-ევრაზიის კვლევის ცენტრში (პარიზი, საფრანგეთი) თემზე: „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XVI საუკუნის 40-80-იანი წლების ფრანგი დიპლომატების კორესპონდენციებში“ (16.06-3.07); რეგიონალური შეხვედრა ბათუმში ადამიანური რესურსების განვითარება შემოქმედებით/საგამომგონებლო პროცესში, ინოვაციების, გამოგონებების დაცვისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მართვის სფეროში, ჰოუპ პროექტი (28-29.08);

მიკროტალღების ევროპულ კვირეულში მონაწილეობა (6-11.09); კონფერენცია „Microsoft“-ის ინოვაციები უმაღლეს განათლებაში 2015” (12.11).

2015 წელს დეპარტამენტის თანამშრომლების მიმდინარე გრანტები: MTCU/110/6-110/14 პროექტი: „მაგნიტოსტრუქციული მასალების მაგნიტოაკუსტიკური და მახსოვრობის ეფექტების შესწავლა ბმრ და მაგნიტური ვიდეო-იმპულსის გამოყენებით“; SRNSF №FR/41/3-250/14 პროექტი: „მაგნიტური ნანოკლასტერებით დოპირებული ნახშირბადოვანი ნანონაწილაკების სინთეზი და მათ საფუძველზე შექმნილი თვითაღმდგენი მაგნიტური პოლიმერული ნანოკომპოზიტური ფირების დამზადება და დახასიათება“; TEMPUS IV-ის მეექვსე კონკურსის გრანტი: „Development of Embedded System Courses with implementation of Innovative Virtual approaches for integration of Research, Education and Production in UA, GE, AM ” – DESIRE.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხელშეწყობა უნივერსიტეტში ხორციელდება **სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის** მიერ, რომელმაც წლის დასაწყისში დაგეგმა 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ამოცანები და მოახდინა მათი განხორციელება.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სტრუქტურებთან, სხვადასხვა სამინისტროებთან და სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. დეპარტამენტი ასევე კოორდინირებულად მუშაობდა თსუ-ს ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით არსებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით 2015 წელს არაერთი სამუშაო შეხვედრა მოეწყო ფაკულტეტების დეკანებთან. მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც გამოიყვა სამართლებრივი დოკუმენტები და სამართლებრივი აქტები.

დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებასთან „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის” (Coalition For Independent Living). დეპარტამენტის თანამშრომლებმა კოალიციის მონწევით მონაწილეობა მიიღეს სატრენინგო-საკონფერენციო შეხვედრებში. აღნიშნულ პროექტში ასევე მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები. ძირითად განსახილველ საკითხს წარმოადგენდა საქართველოს მხრიდან რატიფიცირებული გაეროს „შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციის” იმპლემენტაცია ქართულ საკანონმდებლო სივრცესა და რეალობაში, აგრეთვე შშმ პირთა უფლებების ჯეროვანი განხორციელებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხების რეგულირების ასპექტები საქართველოში, მათ შორის განათლების მიღების უფლების კუთხით.

დეპარტამენტი სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხობდა როგორც ცხელ ხაზზე შემოსულ ზარებსა და სოციალურ ქსელში დეპარტამენტის არსებულ გვერდზე დასმულ შეკითხვებს, ასევე ელფოსტით (academicaffairs@tsu.ge) შემოსულ წერილებს. დეპარტამენტი მოპოვებულ ინფორმაციებს ინტენსიურად განათავსებდა თსუ-ს ვებგვერდზე.

2015 წელს დეპარტამენტმა განიხილა 6904 კორესპონდენცია.

სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება

ახორციელებდა სასწავლო პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობდა სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებთან.

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან იგზავნებოდა პასუხები მოთხოვნილ ინფორმაციაზე და უნივერსიტეტში გამოცემული სამართლებრივი აქტები.
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან - შემოსული წერილების პასუხად ეგზავნებოდათ პასუხები. ასევე, დასკვნისათვის ეგზავნებოდათ მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანებების პროექტები.
- ✓ „რესპუბლიკა“, „ლიბერთი“ და „თბს“ ბანკებთან - პერიოდულად მიეწოდებოდათ ინფორმაცია თსუ-ში ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების შესახებ.

განყოფილების მიერ მომზადდა საუნივერსიტეტო მნიშვნელობის ბრძანებები: სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ, მობილობის და შიდა მობილობის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულ სტუდენტთა პირადი საქმის გახსნის შესახებ, მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცდების ჩატარების ვადების განსაზღვრის შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურზე მიღების მიზნით ტესტირების ვადების განსაზღვრის თაობაზე; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2015-2016 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ და სხვ.

განყოფილებამ უზრუნველყო 2015-2016 სასწავლო წლისათვის „სტუდენტების გზამკვლევის“ (საინფორმაციო ბროშურა) და სხვა საცნობარო მასალის შემუშავება. მოიძია და დაამუშავა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია შიდა და გარე მობილობაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთათვის, პირველსემესტრულ ბაკალავრებისათვის, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატებისათვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის. განყოფილება მონაწილეობდა უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე 91 აბიტურიენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის/სტუდენტის სასწავლო პროცესში ინტეგრირებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებში. განყოფილებამ მოამზადა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, ბაკალავრებთან, მაგისტრანტებთან, დოქტორანტებთან, რეზიდენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებები.

დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში განყოფილება მონაწილეობდა თსუ-ს შესამუშავებელი სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასა და ექსპერტიზაში:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის

№77/2011 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №26/2015, 23.02.2015);

2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ (აკად. საბჭოს დადგენილება №59/2015, 19.06.2015);

3. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” (აკად. საბჭოს დადგენილება №102/2015, 28.09.2015);

4. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016-2017 სასწავლო წლის ბაკალავრიატისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” (აკად. საბჭოს დადგენილება №125/2015, 14.12.2015);

5. პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს” ფარგლებში სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების დადგენისა და ფაკულტეტებზე სახელმწიფო სტიპენდიით დასაფინანსებელი სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ (ბრძანება N214/01-01, 24.11.2015).

საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მომზადდა უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტები: ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკადემიურ უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების, მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატთა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომის შემდგომ (პროფესიული მზადება) საგანმანათლებლო პროგრამებზე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების ფაკულტეტებზე ჩარიცხვის თაობაზე; მობილობისა და შიდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/ სტუდენტების უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე, სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი (შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა, დამატებითი სემესტრი) – 743 პროექტი, რექტორის მიერ გამოცემულ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში ტექნიკური შეცდომის გასწორებისა და ცვლილებების, ასევე სტუდენტების პირად მონაცემებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე - 230; საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მიღწეული აღიარებული კრედიტების საფუძველზე სემესტრის განსაზღვრის თაობაზე - 141.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილება: 2015 განყოფილებამ განიხილა და რეაგირება მოახდინა 3250 კორესპონდენციაზე. კორესპონდენციის ნაწილზე მომზადა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტები: დიპლომისა და დიპლომის დანართის

დუბლიკატის გაცემის შესახებ, დიპლომისა და დიპლომის დანართის შესწორების თაობაზე, კურსდამთავრებულთა პირად საქმეში ცვლილების შეტანის თაობაზე. მოქალაქეებისათვის მომზადდა 45 წერილი, თსუ არქივში გაიგზავნა – 850 შუალედური წერილი, თსუ ფაკულტეტებზე – 880 შუალედური წერილი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობისა და თსუ-ს მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების მიზნით განყოფილება აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელ - ENIC/NARIC-თან, უცხოეთის ქვეყნების სტრატეგიული საინფორმაციო რესურსების ორგანიზაციებთან, უცხოეთის საგანმანათლებლო დოკუმენტების გადამოწმების სახელმწიფო სააგენტოებთან, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ნაციონალურ ცენტრებთან, უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების საერთაშორისო განყოფილებებთან და სხვ. სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებში გაიგზავნა 25 კორესპონდენცია, სხვადასხვა ქვეყნების ორგანიზაციებში - 45 კორესპონდენცია.

განყოფილებამ მოამზადა სატენდერო წინადადებები დიპლომების ფორმებისა და დიპლომების ყდების დამზადებასთან დაკავშირებით; დააარქივა და არქივს გადასცა თსუ-ს 2010 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომები თანდართული დანართებით და დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალები; განახორციელა უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართების ასლებისა და განყოფილებაში მომზადებული სხვადასხვა ტიპის 120 ცნობის დამოწმება და გაცემა.

განყოფილებამ უზრუნველყო:

- ✓ 2015–2016 სასწავლო წელს ჩარიცხული პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების, უცხოელი სტუდენტებისა და ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების, მობილობით გადმოსული სტუდენტების ხელშეკრულებების დამოწმების პროცედურა რექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით.
- ✓ წვევამდელთა აღრიცხვა და ფორმა №26-ის (სტუდენტ ვაჟებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევაზე უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი ცნობა) მომზადება და გაცემა; 3620 ცალი (მათ შორის 1870 ცალი პირველკურსელის) ცნობა გადაგზავნა შესაბამისი რაიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

სტუდენტთა მომსახურების განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობდა სხვადასხვა სტრუქტურებთან:

- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის, უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების - დიპლომისა და პროფესიული დიპლომის დანართებისა და ცნობების ნამდვილობის დადასტურების მიზნით გაიგზავნა 430 კორესპონდენცია;

სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ:

- ✓ დაამზადა - 4600 დიპლომი, 151 დიპლომის დუბლიკატი, 7 მოწმობა, 5 მეორადი სწავლების სერტიფიკატი, 248 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სერტიფიკატი, 670 სხვადასხვა სახის ცნობა, 2009-2010-2011-2012 წლის კურსდამთავრებულთა პირადი საქმისთვის დიპლომების 7500 ასლი, 120 სტუდბილეთი ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისათვის.
- ✓ შეცვალა - 509 დიპლომი, 210 დიპლომის დანართი.
- ✓ არქივს გადასცა - 541 შეცვლილი დიპლომისა და დიპლომის დუბლიკატის ასლები თანდართული დოკუმენტებით.
- ✓ საუტილიზაციოდ მომზადდა (ჩაუტარდა აღწერა, ტექნიკური დახასიათება) და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარუდგინა 2012 წლის გამოუყენებელი დიპლომის 3688 ცალი ფორმა.
- ✓ გაანადგურა 2005-2006-2007-2008-2009 წლების წუნდებული დიპლომები.

სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილება: 2015 წელს განყოფილებაში დამუშავდა 777 კორექსონდენცია და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობის საფუძველზე მომზადდა წერილები. განყოფილებამ განახორციელა 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრსა და 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანა-განახლება. აღნიშნული ინფორმაციის შეტანა მოხდა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში. განყოფილებამ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში დააფიქსირა 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტში ჩარიცხული 6392 სტუდენტის (ბაკალავრი-4083, ერთსაფეხურიანი - 295, მაგისტრანტი-1402, დოქტორანტი-265, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე-256, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე - 91) სტატუსი და შეიტანა ჩარიცხვის თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანებები. იგივე პროცედურა განხორციელდა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტზე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

სტუდენტთა რეესტრის წარმოების განყოფილებამ:

- ✓ უზრუნველყო 1700-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დაფიქსირება როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ასევე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- ✓ უზრუნველყო 2015 წელს თსუ-ში გარე მობილობის წესით სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ჩარიცხული 188 სტუდენტის შესახებ ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- ✓ უზრუნველყო 2015 წელს თსუ-ში ჩარიცხული ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხული 98 სტუდენტის შესახებ დოკუმენტაციის მომზადება და ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ასევე თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.

- ✓ უზრუნველყო 2015 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაციის ასახვა 399 სტუდენტის თაობაზე, რომელთაც შიდა მობილობის წესით შეიცვალეს პროგრამა. იგივე ინფორმაცია აისახა თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- ✓ უზრუნველყო 2015 წელს თსუ-დან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასული 764 სტუდენტის თაობაზე ინფორმაციის ასახვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- ✓ ატვირთა 2400 დიპლომი და 2400 დიპლომის დანართი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.
- ✓ ატვირთა 1700-მდე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასკანერებული ვერსია თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში.
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემთა ბაზის შევსებისა და კორექტირების მიზნით განახორციელა 200-მდე სტუდენტის თაობაზე დოკუმენტაციის მოძიება და გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ასევე გაგზავნა შესაბამისი ელექტრონული წერილები.
- ✓ უზრუნველყო 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ახალი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (lms) შესაბამისობაში მოყვანა საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრისა და არსებული სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მონაცემებთან. (lms ბაზაში მოხდა ინფორმაციის გადამოწმება სხვადასხვა სტატუსის მქონე 11 950 მაგისტრანტის შესახებ).
- ✓ უზრუნველყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გადმოგზავნილ 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლების მქონე სტუდენტთა სახელობით სიაში უზუსტობების აღმოჩენა მისი კორექტირების მიზნით.
- ✓ უზრუნველყო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტების რეგისტრაცია და პროფესიული კოლეჯების მართვის სისტემაში შეიტანა ინფორმაცია თსუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 131 სტუდენტის შესახებ.
- ✓ დაამუშავა სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები და მიაწოდა როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებს, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციებსა თუ არასამთავრობო დაწესებულებებს.
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გაეგზავნა კურსდამთავრებულთა დიპლომის ნამდვილობის შესახებ და სტუდენტების სწავლის ფაქტის დადასტურების შესახებ 190 კორესპონდენცია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პროგრამების განხორციელების სრულყოფის და სტუდენტთა საატესტაციო პროცედურების ორგანიზება-ჩატარების მიზნით, (სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კავშირში) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის **სავამოცდო ცენტრის** ფუნქციონირებას. 2015 წლის განმავლობაში ორგანიზებულ იქნა 2014-2015 სასწავლო წლის

გაზაფხულისა და 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შუალედური/დასკვნითი/დამატებითი და დოქტორანტურა/მაგისტრატურაში მისაღები გამოცდების ჩატარება.

(შენიშვნა: ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მიერ 2015 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური ანგარიში).

2015 წლის დასაწყისში განხორციელდა **უწყვეტი განათლების ცენტრის** რეორგანიზება, ცენტრს შემოუერთდა საბავშვო უნივერსიტეტი და დამტკიცდა ახალი დებულება. 2015 წლის განმავლობაში თსუ უწყვეტი განათლების ცენტრი აგრძელებდა TEMPUS-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „**Strengthening the Specific Role of Universities as LLL Institutions, SSRULLI**” (უნივერსიტეტების, როგორც სწავლა უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება) განხორციელებას. პროექტის მიზანია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში უნივერსიტეტების, როგორც უწყვეტი განათლების ინსტიტუციების როლის გაძლიერება. **პროექტის წარმდგენი და კოორდინატორი** ივანე ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია. SSRULLI-ს ევროპელი პარტნიორები არიან: გრაცის კარლ ფრანცის სახელობის უნივერსიტეტი (ავსტრია); ჰამბურგის უნივერსიტეტი (გერმანია); ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი). პროექტის პარტნიორები რეგიონიდან არიან: აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია; Dv International - საქართველო; ხაზარის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი); კავკასიის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი), აზერბაიჯანის ზრდასრულთა განათლების ასოციაცია, ჰოვანეს თუმანიანის სახელობის ვანაძორის პედაგოგიური ინსტიტუტი (სომხეთი), ბრიუსოვის სახელობის ერევნის სახელმწიფო ენების უნივერსიტეტი (სომხეთი), Dv International - სომხეთი. პროექტის ფარგლებში 2015 წლის განმავლობაში განხორციელდა პარტნიორი უნივერსიტეტების უწყვეტი განათლების ცენტრების თანამშრომლების გადამზადება სხვადასხვა ტრენინგ მოდულით, განვითარდა უწყვეტი განათლების 6 კურსი (აქედან 5 უკვე ოფიციალურადაა დამტკიცებული): 1. ნეირომარკეტინგი და მარკეტინგული კვლევები - სასერტიფიკატო კურსი. 2. შრომის სამართალი - ტრენინგ-კურსი. 3. ზოგადი მენეჯმენტი - ტრენინგ-კურსი. 4. ინფორმაციული განათლება და მედია წიგნიერება - სასერტიფიკატო კურსი. 5. ინფორმაციის ცოდნად გადაქცევის პრაქტიკული კურსი - ტრენინგ-კურსი. 6. ტრენინგი უმაღლესი განათლების აკადემიური პერსონალისათვის - ტრენინგ-კურსი (ჯერ არ არის ოფიციალურად დამტკიცებული). პროექტის ფარგლებში უწყვეტი განათლების ცენტრმა 2015 წლის განმავლობაში უმასპინძლა ორ საერთაშორისო კონფერენციას და სამ ტრენინგს (საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების მარკეტინგი, რეგიონული თანამშრომლობა, უწყვეტი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა).

2015 წელს ცენტრში განხორციელდა შემდეგი უწყვეტი განათლების კურსები: თსუ-ის პერსონალისათვის: Excel; შრომის სამართალი და პერსონალის მართვის აქტუალური საკითხები;

შრომის სამართალი და პერსონალის მართვის აქტუალური საკითხები; ზოგადი მენეჯმენტი. ფართო საზოგადოებისათვის: ორის ბულალტერია; კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის გადრმავებული კურსი; ტრენერების ტრენინგი (დამწყებთათვის) (7 ჯგუფი). ქალაქ ქუთაისში განხორციელებული კურსები: აღმზრდელი (ბაგა-ბაღის) (3 ჯგუფი). 2015 წელს აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში 2015/2016 სასწავლო წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის დადგენილ სხვადასხვა საგანში ემზადება 21 აბიტურიენტი. საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მოემზადა: ზოგადი უნარები - 121 მსმენელი; ქართული ენა - 12 მსმენელი (რუსულ ენოვანი); ქართული ენა - 8 მსმენელი (თურქულ ენოვანი).

საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის ანგარიში - 2015/2016 სასწავლო წელი

თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებთან, სთავაზობს სხვადასხვა საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამასა და ღონისძიებას. უაღრესად პოპულარულია მოსწავლეთა ექსკურსიები პირველ კორპუსში, ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის სხვადასხვა მუზეუმში. წელიწადში მუზეუმებს 700-800 მოსწავლე სტუმრობს.

- ✓ საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითად ფორმას შემეცნებითი სალექციო კურსები - „ნორჩთა სკოლები“ - წარმოადგენს, მაგ.: „ნორჩ ასტრონომთა სკოლა“ (წლის განმავლობაში 300-მდე მოსწავლეს მოიცავს); „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“ (წლის განმავლობაში 150-200-მდე მოსწავლეს მოიცავს); „ნორჩ ექსპერიმენტატორ ფიზიკოსთა სკოლა“ (150-მდე მოსწავლე); „ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა“, (100-მდე მოსწავლე); „ნორჩ გეოგრაფთა სკოლა“ (200 -მდე მოსწავლე); „ნორჩ იურისტთა სკოლა“ (ლექციები 15 კვირის განმავლობაში გრძელდება და თითოეულში საშუალოდ 40-50 მოსწავლე მონაწილეობს; „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლა“ (300-ზე მეტი მოსწავლე).
- ✓ მუშაობს გამოყენებითი მათემატიკის ზამთრის და ზაფხულის სკოლა, რომელიც თსუ-საბავშვო უნივერსიტეტისა და ი.ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლების ძალისხმევით უკვე ექვსჯერ ჩატარდა. მიმდინარეობს ასევე ყოველკვირეული პროგრამა.
- ✓ მიმდინარეობს ორი ინტერდისციპლინარული სალექციო კურსი: ზუსტსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, რომელიც აერთიანებს ფიზიკას, ქიმიას, მათემატიკას, ბიოლოგიას გეოგრაფიასა და ეკოლოგიას.
- ✓ სკოლისა და უნივერსიტეტის დაახლოებას ემსახურება პროექტი „თსუ-დესპანი“, რომელშიც 2015/2016 სასწავლო წელს თსუ-ის ხვადასხვა ფაკულტეტის 250-მდე სტუდენტი ჩაება. დაინერგა, აგრეთვე, პროექტი „გააცანი შენი პროფესია“. დღემდე ამ ორი პროექტით საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონში ათასობით მოსწავლესთან განხორციელდა უშუალო კონტაქტი.
- ✓ თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა რეგიონის სკოლებთან ერთობლივი კონფერენციების ჩატარება. ერთი წლის განმავლობაში ჩატარდა კონფერენცია ჯავახეთში, (ახალქალაქი) იმერეთში(ქუთაისში), სამეგრელო(ფოთში), ქვემო ქართლში (რუსთავი).
- ✓ თსუ საბავშვო უნივერსიტეტი ყურადღებას უთმობს რეგიონის სკოლების პროფორიენტაციის პროგრამაში ჩართვას, ამ მიზნით რამდენიმე გასვლითი ღონისძიება განხორციელდა აჭარაში (ქედის რაიონი, ქობულეთი) სამეგრელოში (მარტვილი, ფოთი, აბაშა), იმერეთში (ხონი, სამტრედია,

ჭიათურა, წყალტუბო, საჩხერე, ქუთაისი), სამცხე-ჯავახეთში (ნინოწმინდა, ახალქალაქი, ახალციხე) მცხეთაში, რუსთავსა და საგარეჯოში.

- ✓ აღსანიშნავია თსუ საბავშვო უნივერსიტეტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე არსებული თსუ ეკო კლუბის საქმიანობა, რომელიც გარდა თეორიული მუშაობისა, სხვადასხვა კონკურსებსაც აწყობს.
- ✓ თსუ-საბავშვო უნივერსიტეტმა და აბიტურიენტთა მოსამზადებელმა განყოფილებამ ერთობლივად შეიმუშავეს რეგიონების სკოლებში აბიტურიენტების დახმარების პროექტი. მის ფარგლებში მოსამზადებელი განყოფილების თანამშრომლების ჯგუფი უსასყიდლოდ, ადგილზე უწევს დახმარებას სასკოლო ძირითადი საგნების პედაგოგებს. პირველი ასეთი კონსულტაცია 14-15 დეკემბერს, ქ. ლანჩხუთის მე-3 საჯარო სკოლაში ჩატარდა.
- ✓ 2015 წლიდან თსუ საბავშვო უნივერსიტეტს დაემატა ინოვაციური პროექტები. „თსუ საბავშვო უნივერსიტეტის კონო კვირეული“, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივად აქტუალური საკითხების ეკრანიზაციის განხილვას და შემდეგ დისკუსიას. კვირეულის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო 50 მოსწავლემ.
- ✓ 2015 წლის ოქტომბრიდან თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა რეგიონის სკოლებისთვის „skupe ლექციების“ ჩატარება დაიწყო. პროექტში ჩართულია დმანისის რაიონის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, წლის ბოლომდე იგეგმება მცხეთის და ლანჩხუთის რაიონების ჩართვა. ორივე პროექტს კოორდინირებას უწევს გიორგი გრიგოლაშვილი.
- ✓ თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი მუშაობს რეგიონებში, არაქართულენოვან მოსახლეობასთან, სტუდენტურ კლუბებთან და ა.შ. აღსანიშნავია ჩატარებული „ღია კარის დღეები“ და თემატური შეხვედრები უნივერსიტეტში, გასვლითი შეხვედრები რუსთავის, ახალქალაქის, ქუთაისის, ბორჯომის, მარნეულის, ჭიათურას, ქარელის, ფოთის, პერევის, ქობულეთის, ვანის, ჭიათურის, წყალტუბოს, ხონის, ლანჩხუთის, ზესტაფონის, ნინოწმინდის, წალკის, ხაშურის, გორის, კასპის სკოლებში.

2015 წელი უნივერსიტეტისთვის **სავამომცემლო საქმიანობის** თვალსაზრისით ნაყოფიერი იყო, ვინაიდან მიღებული იქნა, რედაქტირება გაუკეთდა, დიზაინი შემუშავდა და დაიბეჭდა 154 დასახელების სახელმძღვანელო, მონოგრაფია, კრებული, ლექსიკონი, ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა. უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ფესტივალში (2015 წ.ოქტომბერი). მთელი წლის მანძილზე მზადებოდა და იბეჭდებოდა სავიზიტო ბარათები, პოსტერები, მოსაწვევი ბარათები, ბუკლეტები, სერტიფიკატები და აფიშები უნივერსიტეტის მიმდინარე საჭიროებისათვის. წარმატებით განხორციელდა მოლაპარაკებები უცხოურ გამომცემლობებთან მთარგმნელობითი პროექტით გათვალისწინებული 18 წიგნის ბეჭდვის უფლების მოსაპოვებლად.

(შენიშვნა: ანგარიშს თან ახლავს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ 2015 წელს განხორციელებული საქმიანობის დეტალური აღწერა).

სისტემატიურად ხდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდის შევსება-განახლება სამეცნიერო, სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით, ასევე პერიოდული და საუნივერსიტეტო გამოცემებით. ფონდების შევსებისას დიდი ყურადღება ექცევა თანამედროვე მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებას. ბიბლიოთეკის მიზანია მოემსახუროს ყველა კატეგორიის მკითხველს: აბიტურიენტებს, სტუდენტებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და ა.შ. ბიბლიოთეკაში შემოსული დოკუმენტების აღრიცხვას, ტექნიკურ დამუშავებასა და ბიბლიოგრაფიულ აღწერას აწარმოებს ბიბლიოთეკის დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება. 2015 წელს ბიბლიოთეკაში შემოვიდა, აღრიცხა და დამუშავდა 5789 დასახელების 12 634 საბიბლიოთეკო ერთეული. აქედან 1592 დასახელების 3126 წიგნი შეძენილია ტენდერით.

2015 წლის ბიუჯეტით წიგნების შესაძენად გათვალისწინებული იყო სულ 200 000,0 ლარი, საიდანაც დაიხარჯა 185 941 ლარი. (შეძენილ იქნა 1 592 დასახელების 3126 ერთეული). შემომწირველებთან 296 ინდივიდუალური ხელშეკრულება გაფორმდა.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმატებით თანამშრომლობს გამოცემლობებთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე ბიბლიოთეკა რეგულარულად იღებს მათ მიერ დასტამბული წიგნების თითო ეგზემპლარს. 2015 წელს მემორანდუმის საფუძველზე გამოცემლობებისგან მიღებულ იქნა 207 ერთეული.

დღემდე გრძელდება 1918 წლიდან დაწყებული ტრადიცია, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება ცნობილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი კოლექციებით. 2015 წელს ბიბლიოთეკას კიდევ რამდენიმე კოლექცია: აკაკი შანიძის, ქართველი ემიგრანტის პეტრე ხვედელიძის, გიორგი ჰაიჭაძის, ქრისტინე ფალავას კოლექციები, აგრეთვე იუსტინე აბულაძისა და მამია და ქრისტინე ბერიშვილების არქივები. ინტენსიურად იზრდება აკადემიკოს ვლადიმერ ჰაპავას კოლექცია.

უნივერსალური და მუდმივად განახლებადია ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილების ფონდი, საიდანაც სტუდენტებს შეუძლიათ სახელმძღვანელოების გატანა გარკვეული ვადით. განყოფილების მთავარი ამოცანაა მკითხველთა სწრაფი მომსახურება, მათი ინტერესების გათვალისწინებით. 2015 წელს ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებაში ჩაენერა 864 მკითხველი, აბონემენტიდან გაიცა 4727 წიგნი, დაბრუნდა – 4700. გაიცა 986 წერილობითი და 2891 ელექტრონული ცნობა საბიბლიოთეკო დოკუმენტის დავალიანების შესახებ.

2011 წელს დაწყებული წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის პროცესი დღესაც გრძელდება (საბიბლიოთეკო ერთეულები ითვლება შტრიხკოდების მეშვეობით). 2015 წელს მიმდინარე ინვენტარიზაციის ფარგლებში შტრიხკოდი მიენიჭა 62 804 საბიბლიოთეკო დოკუმენტს. სულ შტრიხკოდი მინიჭებული აქვს 1 654 202 საბიბლიოთეკო ერთეულს.

ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია აქტიურ მონაწილეობას იღებს საბიბლიოთეკო სამართლებრივი დოკუმენტების შექმნაში. 2015 წელს ბიბლიოთეკის ინიციატივით შემუშავდა 55 სამართლებრივი დოკუმენტის (რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების) პროექტი.

უკვე მე-4 წელია წარმატებით მინდინარეობს ბიბლიოთეკაში დაცული ფონდების ელექტრონულ კატალოგში შეტანა, რაც ბიბლიოთეკის მომხმარებელს საშუალებას აძლევს ადვილად მოიძიოს მისთვის საჭირო მასალა ელექტრონულად და იხილოს, თუ რა სახის საბიბლიოთეკო დოკუმენტებია დაცული ჩვენს ფონდებში. 2015 წელს ელექტრონულ კატალოგში შევიდა 93 959 – მდე საბიბლიოთეკო დოკუმენტი და 50 109 ელექტრონული ბარათი. სულ ელექტრონულ კატალოგში შეტანილია 171 959 ჩანაწერი.

სტუდენტებისთვის სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის მიზნით ბიბლიოთეკაში ასევე ხორციელდება სახელმძღვანელოების გაცეფრება და ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ატვირთვა. დიგიტალიზაციის ჯგუფის მიერ დასკანერდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 331 183 გვერდი. საავტორო უფლებების დამცავი პროგრამის ამუშავების შემდეგ ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსდა საბიბლიოთეკო დოკუმენტების 300 ელექტრონული ვარიანტი.

წლების შემდეგ აღდგენილ რესტავრაციის განყოფილებაში, რეგულარულად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო დოკუმენტების რესტავრაცია. 2015 წელს რესტავრაცია ჩაუტარდა - 249 საბიბლიოთეკო ერთეულს. ობის სოკოსგან დაზიანებულ 110 საბიბლიოთეკო დოკუმენტი დაინმინდა და ჩაუტარდა დეზინფექცია. ამოიბეჭდა, აიკინძა, ყდაში ჩაისვა და საბიბლიოთეკო დოკუმენტად დამზადდა ფაკულტეტებიდან გადმოცემული 1010 ერთეული წიგნი. აგრეთვე აიკინძა და ყდაში ჩაისვა 2011 წლის, 2 დასახელების (18 ბლოკად) გაზეთის შეკვრა. განყოფილებისთვის შეძენილ იქნა სარესტავრაციო იარაღები, ქიმიური რეაქტივები და ქსეროასლის გადამღები აპარატი აქსესუარებითა და ტონერებით.

უნივერსიტეტში მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებების განვითარებისთვის, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის თანამედროვე ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (BioOne, Oxford Online dictionary, Ecinlit, EbscoHost, New England Journal of Medicine, OECD-iLibrary, Cambridge Journals Collection, Jstory) წვდომას, როგორც უნივერსიტეტის შიდა ქსელიდან, ასევე გარე სივრციდან.

როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციულ დაწესებულებას, არც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს გამონაკლისს. ამ მხრივ აღსანიშნავია 2015 წელს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მიერ მომზადებული საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის პირადი კოლექციის გამოფენა. „სვიმონ კლდიაშვილი – 150“ საიუბილეო საღამო.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან არსებული „კლუბი 93-ე აუდიტორიის“, ფარგლებში ჩატარდა „პირველსხიველების“ შემოქმედებითი საღამო, მუხრან მაჭავარიანის ხსოვნის საღამო; მწერალ ნაირა გელაშვილის შეხვედრა უნივერსიტეტის საზოგადოებასთან. პერიოდულად ტარდება კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიებები: საჯარო ლექციები, წიგნების პრეზენტაცია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილება პერიოდულად ამზადებს გამოსაცემად ფონდებში დაცული კოლექციების აღწერილობებს, ლიტერატურული აღმანახების საძიებლებს. 2015 წელს გამოსაცემად მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებელი (1991 – 2010 წწ.) და მიმდინარეობს გამოცემლობის მიერ

დაკაბადონებული მასალის რედაქტირება. ანალიტიკურად დამუშავდა და ელექტრონულ კატალოგში შევიდა „თბილისის უნივერსიტეტი“ გაზეთის (1952 – 1956, 2014 წწ.) 3 941 სტატია.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მდიდარი პერიოდული გამოცემების ფონდები გააჩნია. ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებამ 2015 წელს ელექტრონულ კატალოგში 686 დასახელების 2032 ერთეული ჟურნალი განათავსა. დაამუშავა და ელექტრონულ კატალოგში განათავსა 60 ფოტო.

ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ქართული და უცხოური იშვიათი გამოცემების უკეთესად წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით, ბიბლიოთეკის იშვიათი გამოცემების განყოფილებაში მიმდინარეობს ხელუხლებელი, აღმოსავლური და საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდებიდან კლიმატკონტროლით აღჭურვილ საცავში განთავსება – დამუშავება, სულ გადმოტანილია 18 825.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას დაემატა კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეული – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) შემსწავლელი ცენტრი – ბიბლიოთეკა”, რომლის გახსნასაც საფუძვლად დაედო ქართველი ემიგრანტის, სოციალ-დემოკრატის მამია ბერიშვილის პირადი არქივი, რომელიც მისმა შვილმა ტიერი ბერიშვილმა გადმოსცა უნივერსიტეტს საჩუქრად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა აერთიანებს რამდენიმე საფაკულტეტო ბიბლიოთეკას და სამ სამკითხველო დარბაზს, რომლითაც ყოველწლიურად ათასობით მკითხველი სარგებლობს. 2015 წელს იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა მოემსახურა – 75 000-მდე მკითხველს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა – 4200-მდე მკითხველს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა – 2000-მდე მკითხველს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიბლიოთეკა – 16 960-მდე მკითხველს, შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი – 186 200 მკითხველს, გრიგოლ წერეთლის სახელობის სამკითხველო დარბაზი – 3000 მკითხველს და სვიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის სამკითხველო დარბაზი – 1500-მდე მკითხველს. სულ სამკითხველო დარბაზების მომსახურებით ისარგებლა 274 161 მკითხველმა.

უნარშებლულად ადამიანთა საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, ბიბლიოთეკის ინიციატივით გაიხსნა აუდიო-სტუდია, სადაც მუდმივად მზადდება მოთხოვნილი სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები ჩვენზე სტუდენტების დახმარებით. აუდიო სტუდიაში გახმოვანდა 3 წიგნი (2000 გვერდი). პროექტის „ერთი დღე უნივერსიტეტში“ ფარგლებში (რესპონდენტის ჩანერა ხდება ბიბლიოთეკის აუდიო სტუდიაში) უკვე ჩანერილია 40 რესპონდენტი.

2015 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ჩვეულ რიტმში გააგრძელა საქმიანობა *სამუზეუმო* საქმიანობის მხრივ. 2015 წელს მუზეუმში შემოსული ყველა მასალა სათანადო აღრიცხვასა და მათ კუთვნილ ადგილზე განთავსებას ექვემდებარება. ეს მასალებია: ხელნაწერი, ნაბეჭდი ლიტერატურა, არქეოლოგიური მონაპოვარი, მინერალოგიური და პალეონტოლოგიური მასალები, მემორიალური

- ნივთები, უნივერსიტეტისათვის საჩუქრად გადმოცემული საგნები და სხვ. ისინი დარგების მიხედვით, შესაბამის მუზეუმებშია გადანაწილებული და მათი დაცვა, შენახვა, აღრიცხვა ადგილზე მიმდინარეობს.
- ✓ თსუ ისტორიის მუზეუმში აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის პირადი ფონდიდან აღირიცხა ხელნაწერი (ბი-2021-2442; ნმი-1033; აი-1303-1401);
 - ✓ დასრულდა თსუ ისტორიის მუზეუმის ექსპონატების საძიებო კარტოთეკისათვის მასალების მომზადება, რომლებიც მალე ჩალაგდება სათანადო ყუთებში. ეს მასალებია: ფოტოს 12875, ხელნაწერების 2400, ნანეჭდი მასალების 1169, ხე-45, ქს-89 და სხ-257 ბარათი.
 - ✓ თსუ ისტორიის მუზეუმის მასალებს სისტემატიურად ეცნობოდა მკვლევარები და სტუდენტები;
 - ✓ გეოგრაფიის მუზეუმში გაგრძელდა აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის პირადი ფონდის მასალების (ხგ - 104-200); რაც შეეხება შუშაზე დატანილი ნეგატივ-პოზიტივებს 300 ერთეული დასკანერებულია და მომზადებულია აღრიცხვისათვის;
 - ✓ გეოგრაფიის ფონდის მასალები გადატანილ იქნა ცენტრალურ (დიდ) დავთარში: ნპგ-7401-7750; ნპგ-8011-8050; ნპგ-9301-9400.
 - ✓ თსუ გეოგრაფიის მუზეუმმა მოამზადა აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა;
 - ✓ მომზადდა და საზეიმოდ გაიხსნა ვაჟა-ფშაველას მემორიალური მუზეუმი.
 - ✓ ზოოლოგიის მუზეუმში ჩატარდა ექსპონატების ყოველწლიური დეზინსექცია; ბიოლოგიის მიმართულების სტუდენტების სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი იყო სადემონსტრაციო მასალებით; ზოომუზეუმის კოლექციები წლის მანძილზე დაათვალიერა 30-ზე მეტმა სკოლის მოსწავლეებმა.
 - ✓ ზოოლოგიის მუზეუმში ჩატარდა ექსპონატების დეზინსექცია და მოხერდა 57 ერთეულის აღრიცხვა;
 - ✓ სამწუხაროდ, მინერალოგიის მუზეუმში ექსპონატთა აღრიცხვა შეჩერებული იყო ე.წ. ლაბორატორიის შექმნის მოთხოვნით შექმნილი პრობლემის გამო, რომელიც წელს ფაქტობრივად ამ მუზეუმის გაუქმებით დასრულდა, ვინაიდან მინერალოგიური კოლექცია მუზეუმიდან ლაბორატორიას გადაეცა. თუმცა მინერალოგიური კოლექციის იდენტიფიკაცია და შესაბამისად დალაგება კვლავაც მიმდინარეობდა და უკვე ამ ყოფილი მუზეუმის მენეჯერი აგრძელებს მინერალოგიურ ლექსიკონზე მუშაობას.
 - ✓ ქართული ემიგრაციის მუზეუმში მოეწყო გამოფენა და ღონისძიებები: „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“ (გ. შარაძის 75 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა); ავიაკონსტრუქტორ ალ. ქართველიშვილისადმი მიძღვნილი საღამო; ექ. თაყაიშვილისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება; ნორჩ ისტორიკოსთა ასოციაციის კვირეული; ჩატარდა 50-ზე მეტი საექსკურსიო ჯგუფთან ლექცია-საუბრები; მ.წ. 25 ივნისს აღინიშნა ქართველ ემიგრანტთა დღე; სხვადასხვა დანესებულებებიდან მოვლინებული მკვლევარებისთვის საჭირო მასალების მიწოდება;
 - ✓ არქეოლოგიის მუზეუმიდან აღირიცხა შემდეგი საფონდო ერთეულები: თია-7201-7300; ბრა-7301-7400; თია-7810-7900; ბრა-7901-8000; ძვა-8051-8058; ბრა-8059-8131; თია-8132-8157; ბრა - 8158-8170; რკა-8171-8189; ძმა-8194-8193; მია-8194-8200; თია-8201-8759; ბრა-8760; რკა-8761-8766; ძმა-8767; ძვა-8768-8770; ხეა-8771; მია-8772; თია-8773-9000; ქვა-9001-9012; თია-9013-9097; ქვა-9098-

- 9100; მნა-9101-9141; რკა-9142-9162; მია-9163-9171; ძვა-9172; ქვა-9173-9174; თია -9175-9200; რკა-10908-10922; მნა-10923-10941; ძვა-1042-10944; ძმა-10945; თია-10946-11300;
- ✓ არქეოლოგიის მუზეუმმა შეასრულა შემდეგი საველე სამუშაოები: „გრაკლიანი გორა“ (კასპი); თამარაის ციხე“ (ყაზბეგი); სოფ. საკრამულო (დუშეთი);
 - ✓ არქეოლოგიის მუზეუმის თანამშრომლები ეწეოდნენ სასწავლო-პრაქტიკულ მუშაობას სტუდენტებთან და ატარებდნენ ლექცია-სემინარებს სამუზეუმო საქმის შესახებ.
 - ✓ თსუ მუზეუმმა მოამზადა შემდეგი გამოფენები: თსუ მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მოეწყო შემდეგი გამოფენები: „ივანე ჯავახიშვილის ნაკვალევზე“ (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების ფოტო-დოკუმენტური გამოფენა); „ზღაპრული რეალობა“ (ქეთევან კოლუაშვილის პერსონალური ფოტოგამოფენა); „ირანი ქართველი სტუდენტის თვალით“ (თსუ სტუდენტის ნინო ცინცაძის ფოტოგამოფენა); დავით მანაშეროვისა და მალხაზ კოკაიას ბიბლიურ თემებზე შექმნილი ჭედურობების გამოფენა; თსუ არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული არტეფაქტების გამოფენა; ფერეიდნელი ქართველის ჰელენე იოსელიანის კალიგრაფიული ნამუშევრების გამოფენა; საქართველოს ბუნება - გუმბინ და დღეს“ (ეკოლოგთა კონფერენციის ფარგლებში მომზადებული ფოტოგამოფენა); თსუ კულტურის დეპარტამენტის სტუდენტების ნახატების გამოფენა; „განმანათლებლობა საქართველოში - იდეები და მოღვაწეები“ (ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოში“ და „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ ერთობლივი გამოფენა); თურქული რენვის ნიმუშების გამოფენა (იუნესკოს ერმეს ინსტიტუტი, თურქეთი); „არქიტექტურა არარატის ფონზე“ (სტუდენტ-მაგისტრანტთა გამოფენა); „გალაკტიონის კოსმიური მოქცევა“ (რეზო ემელიანე ადამიას პერსონალური გამოფენა); აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა; „ჯავახეთი 2014“ (სტუდენტთა ექსპედიციის ფოტოგამოფენა); „ხევსურეთი 1960-1977-2012 წწ. - წარსული და აწმყო“ (ხელოვნებათმცოდნე როლფ შრადეს ფოტოგამოფენა); იოსებ ყიფშიძის 130 წლისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა; „ოზონი და ახალი ტექნოლოგიები“ (გამოგონებული ტექნიკის გამოფენა); „თბილისი ორ ბორბალზე“ (ვეოსიპედის პოპულარიზაციის გამოფენა, პოლანდიის საელჩო); „ირანის ხედები“ (ირანის საელჩო); „ალაზანს გაღმა.. საქართველოში“ (ინგილოური ქსოვის ნიმუშები. ეძღვნება აკად. გ. ჩიტაიას 125 წლისთავს).
 - ✓ თსუ მუზეუმი მთელი წლის მანძილზე აქტიურად თანამშრომლობდა თსუ საბავშვო უნივერსიტეტთან და თსუ რამდენიმე თანამშრომელი სისტემატურად ატარებდა საუბრებს მოსწავლეებთან. გასვლითი ღონისძიება მოეწყო სოფელ ნიქოზის საჯარო სკოლაში.
 - ✓ ემიგრაციის მუზეუმის, ზოოლოგიისა და არქეოლოგიის მუზეუმის მასალები გამოფენილი იყო „ექსპო-ჯორჯიას“ საგამოფენო სივრცეში;
 - ✓ გრაკლიანის გორაზე მოეწყო საგანგებო გამოფენა არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალებით.
 - ✓ ექსკურსიები: უნივერსიტეტის პანთეონი, მთავარი კორპუსი და დროებითი გამოფენები დაათვალიერა თბილისისა და სხვადასხვა რაიონის 30-ზე მეტი სკოლის მოწაფეებმა; ზოოლოგიის მუზეუმი მონინახულა თბილისისა და სხვადასხვა რაიონის 20-ზე მეტმა სკოლის მოსწავლეებმა.

- ✓ პუბლიკაცია: 4 სტატია წიგნში „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა”, ტ. 1 და 2. ოსებ ყიფშიძე (გამოფენის გზამკვლევი); ანდრია რაზმაძე (გამოფენის გზამკვლევი); „ალაზანს გაღმა.. საქართველოში”(გამოფენის გზამკვლევი).

II. რესურსების მართვა

- 2015 წლის განმავლობაში უნივერსიტეტი ტრადიციულად ინტენსიურად საქმიანობდა **ფინანსების მართვის, ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების** მიმართულებებით და უზრუნველყოფდა თსუ ბიუჯეტის შესაბამისად: ა) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გასაწევი ხარჯების ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გასაწევი ხარჯების გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს” ფაგლებში გასაწევი ხარჯების დ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში გასაწევი ხარჯების ე) ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებას.
- ✓ თსუ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები შემუშავდა საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკიდან წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების, მათთან კონსულტაციებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ბიუჯეტის პროექტი, დროულად წარედგინა თსუ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, რაც 2014 წლის 29 დეკემბერს დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით (ოქმი №10 29,12,2014 წელი).
 - ✓ როგორც გასულ წლებში, 2015 წელსაც შეუფერხებლად ფინანსდებოდა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტუდენტური ღონისძიებები. კერძოდ, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან გაცვლით პროგრამებში, იმპირიებულ პროცესებში, სპორტულ, კულტურულ-სანახაობრივ ღონისძიებებში სტუდენტების მონაწილეობები.
 - ✓ მოწინავე სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ 150 ლარიანი სახელმწიფო სტიპენდიით. სულ 715 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სტიპენდია. გარდა ამისა, გაიცა სხვადასხვა სახელობითი სტიპენდიები. ასევე, საუნივერსიტეტო დაფინანსებიდან დაფინანსდა, მაღალი აკადემიური შედეგების მქონე ბაკალავრიატის სტუდენტების და მაგისტრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი. შეფერხებების გარეშე ფინანსდებოდა: ლექციების წასაკითხად უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის; სასწავლო მიზნით საჭირო ნივთების, მასალების, რექვატივების; გამომცემლობის-სასტამბო; სამეცნიერო ექსპედიციების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული; წიგნადი ფონდის შესაძენად საჭირო; რიდერების რედაქტირებისა და თარგმნის ხარჯები; მნიშვნელოვანი

სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები; სამეცნიერო მიზნობრივი კვლევითი საქმიანობის; პოსტ-დოქტორანტების; უნივერსიტეტის კორპუსების რემონტის; უნივერსიტეტის ძალებით სასაბუღალტრო ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა. სწავლის გადასახადის შეღავათი გაენია და უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული იქნა ასევე დოქტორანტების მნიშვნელოვანი ნაწილიც. გარდა აღნიშნულისა, თითოეულ ფაკულტეტზე, ასევე პროცენტით დაფინანსდა ხუთ-ხუთი წარჩინებული დოქტორანტის სწავლის საფასური.

- ✓ 2014 წლის ბოლოს და 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები და გამოიყო სახსრები: ელფეთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, რაფიელ ავლადის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, თსუ-მე-3 სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოებისათვის და უნივერსიტეტში მოდულური პროგრამების გახორციელების მიზნით საჭიროს ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესყიდვაზე.
- ✓ გარკვეული მუშაობა ჩატარდა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დროულად იქნა წარდგენილი ინფორმაცია საკუთარი შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის შესახებ, 2014 წლის ფაქტობრივი, 2015 წლის გეგმისა და 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლების მიხედვით. ასევე დროულად იქნა წარდგენილი უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის 2014 წლის ფაქტიური ხარჯის, 2015 წლის დამტკიცებული გეგმის, 2015 წლის 6 თვის საკასო ხარჯის და 2016 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიხედვით.
- ✓ ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას როგორც გასულ წლებში, ასევე 2015 წელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. მუშავდებოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვები. პროექტების შესაბამისად, დამტკიცებული საგრანტო პროექტების ბიუჯეტის გათვალისწინებით ფორმდებოდა ხელშეკრულებები გრანტის ძირითად და დამხმარე პერსონალთან. გარკვეული მუშაობა გაინია, საგრანტო პროექტების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მივლინებების, ექსპედიციების (არა მარტო საგრანტო პროექტების, თსუ აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის) ბრძანებების პროექტების მომზადებაზე, შესყიდვებისათვის საჭირო პროცედურების განსახორციელებაზე, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებაზე, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენაზე. ასევე გარკვეული მუშაობა გაინია უნივერსიტეტთან შემოერთებული სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტების (14 ინსტიტუტის) და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი (თითოეულისათვის ცალ-ცალკე) ასიგნებების ხარჯვის მონიტორინგზე, ინსტიტუტებში მიმდინარე გრანტების მომსახურებაზე. 2015 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშავდებოდა და დეპარტამენტი, მისი უშუალო ფუნქციური დატვირთვის გარდა, ემსახურებოდა შემოერთებული ინსტიტუტების ჩათვლით

275 საგრანტო პროექტს. მათ შორის: 216 -ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 59- საერთაშორისო გრანტის.

- ✓ უნივერსიტეტში დროულად და შეუფერხებლად ხორციელდებოდა ხელფასებისა და სხვა ღონისძიებებისათვის საჭირო ფულადი სახსრების გაცემა. დიდი ყურადღება ექცეოდა დებიტორ-კრედიტორულ და ანგარიშვალდებულ პირებზე დავალიანებათა შემცირების საკითხის გადაჭრას, დროულად და ხარისხიანად ხდებოდა კვარტალური და წლიური ბალანსების ჩაბარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტში მიმდინარე რთულ და პრომატევად ინვენტარიზაციის პროცესში. დეპარტამენტი ახორციელებდა კვარტალური, წლიური და სპეციალური გამოკვლევების სტატისტიკური ანგარიშგების მომზადებას და დროულად წარდგენას სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და სხვა უწყებებში.
- ✓ 2015 წელს უნივერსიტეტი ჩართული იყო სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშგების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 437 ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. არ შედგა 93 ტენდერი. გაფორმდა და აიტვირთა ერთიან ელექტრონულ სისტემაში 1288 ხელშეკრულება,
- ✓ გარდა აღნიშნულისა დიდი მოცულობის სამუშაო იქნა გაწეული თსუ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის და თსუ აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოზე წარსადგენად. 2016 წლის ბიუჯეტი, დამტკიცებულ იქნა 2015 წლის 30 დეკემბერს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (ოქმი №7 30,12,2015 წელი), აკადემიური საბჭოს წევრების მონაწილეობით.
- ✓ 2015 წელს დეპარტამენტში შემოვიდა 22 970 წერილი, რომლებიც სათანადოდაა რეაგირებული.

მატერიალური რესურსების მართვის მხრივ, 2015 წლის განმავლობაში: თსუ-ს კორპუსებში უზრუნველყოფილი იქნა არსებული საკომუნიკაციო სისტემების გამართული მუშაობა, ასევე კომუნალური გადასახადებისათვის დოკუმენტაციის მომზადება და გადახდაზე კონტროლის უზრუნველყოფა. სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება სახარჯი და სანიტარული საშუალებებისა და ავეჯის შესყიდვის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა და შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობის და კონტროლის განხორციელება, დაწესებულების სამეურნეო და სატრანსპორტო მომსახურება, საინვენტარიზაციო და ჩამონერის კომისიასთან აქტიური თანამშრომლობა.

ხორციელდებოდა ყოველდღიური შემოვლა თსუ-ს კორპუსებში და აღმოჩენილი დაზიანებების აღმოფხვრა, კერძოდ: სველი წერტილების შეცვლა/შეკეთება; ელ.ქსელის წერტილების შეცვლა/შეკეთება; ავეჯისა და იატაკის შეკეთება, მოწესრიგება და განახლება, ბანერების დამზადება/მონტაჟი; კედლების შეკეთებითი სამუშაოები, დაზიანებული სატელეფონო ხაზების და ტელეფონების შეკეთება, გათბობის სისტემების (მილების, რადიატორების, ქვაბების) მეთვალყურეობა, დაზიანებების შეკეთება. ანალოგიური სამუშაოები ტარდებოდა შემოერთებულ

ინსტიტუტებში. თსუ-ს კორპუსებში არსებული ტრანსფორმატორებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. დაიგო ასფალტი. შეკეთდა და გადაიხურა სახურავები.

„საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო“-სა და უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ საპროექტო დოკუმენტაციის და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერები სარემონტო სამუშაოებზე, დაახლოებით 8 მლნ ლარზე, კერძოდ: ელექტრონული ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი; ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაო, რომლის სატენდერო პროცედურები ჯერ არ დასრულებულა; პეტრე მელიქიძევილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი; ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის, თსუ-ს მესამე სასწავლო კორპუსის და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი და მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები.

მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ჩატარებული სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით, სისტემატურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სასწავლო კორპუსების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძოდ, თსუ-ს სხვადასხვა კორპუსებში და ბაგების სტუდენტლანქში გარემონტდა ოთახები, აუდიტორიები, ლიფტები. ასევე I კორპუსის ეზოში დაიდგა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა და უნივერსიტეტის დამაარსებელთა ბიუსტები.

ჩატარდა დიდი მოცულობის ისეთი სახის სამეურნეო სამუშაოები, როგორცაა ფართის დაცლა/დასუფთავება, ავეჯისა და სხვა ინვენტარის გადაზიდვა, ინვენტარის გამოტანა-დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების გამოზიდვა სარემონტო სამუშაოების შემდეგ, მეთაურ-მეთერთმეტე კორპუსების მოსამზადებელი სამუშაოები ეროვნული გამოცდებისათვის. ლიტერატურის ინსტიტუტიდან და მეხუთე კორპუსიდან ამორტიზებული ავეჯის გადაზიდვა/ დასაწყობება თელეთის კორპუსში. ყოფილი გეოლოგიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული დამხმარე ნაგებობიდან გეოლოგების კუთვნილი ინვენტარის გადატანა ქიმიის ინსტიტუტში. მეორე კორპუსში არსებული ბირთვული ფიზიკის სასწავლო სამეცნიერო ლაბორატორიების საწყობების დაცლა დასუფთავება. მალლივის ტერიტორიაზე გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შენობისა და ეზოს დაცლა დასუფთავება. მორფოლოგიის ინსტიტუტში ინვენტარის შეტანა, აუდიტორიების გადანაცობა. პირველ კორპუსში აუდიტორიებისა და საკონფერენციო დარბაზების მომზადება დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ბიოლოგების კორპუსში მუზეუმის ავეჯის გადანაცობა და ჩამოსაწერი ტექნიკის ჩაზიდვა სარდაფში. სამშენებლო ნარჩენების გამოზიდვა ბიოლოგებისა და ბიბლიოთეკის შენობიდან. ბიბლიოთეკის კორპუსში სამკითხველო დარბაზში ავეჯის შეზიდვა. საგამოცდო ცენტრში ავეჯის გადანაცობა, ძველი ავეჯის ახლით შეცვლა. მალლივის ბიბლიოთეკიდან ინგლისურ ენოვანი სახელმძღვანელოების გადაზიდვა თსუ-ს ავლაბრის ბიბლიოთეკაში. მალლივის ბიბლიოთეკაში მეხუთე სართულზე არსებული საცავის ჩატანა პირველ სართულზე. ტურიზმის განვითარების ინსტიტუტში შიდა სამუშაოები, აუდიტორიების გადანაცობა დაცლა. ყოფილი მათემატიკის ინსტიტუტის ბაღე მავთულების გადაზიდვა მალლივის თბომეურნეობის ტერიტორიაზე. მესამე კორპუსის ნულოვანი სართულის დაცლა.

დასუფთავდა და მოწესრიგდა თსუ-ს უმრავლესი კორპუსების ეზოს ტერიტორიები. მოწესრიგდა ხე-მცენარეები და ასევე გამწვანების მიზნით დარგულ იქნა ახალი ნერგები.

უნივერსიტეტის ავტოპარკის მიერ განხორციელებული იქნა შემდეგი სატრანსპორტო მომსახურება: არქეოლოგიური სამუშაოებისას არქეოლოგებისა და პროფესორების ტრანსპორტირება საქართველოს მასშტაბით, ასევე მონვეული უცხოელი არქეოლოგების და

პროფესორების აეროპორტში დახვედრა-გაცილება. გაცვლითი პროგრამის მონაწილე უცხოელი სტუდენტების დახვედრა აეროპორტში, მათი ექსკურსიები ქალაქსა თუ ქალაქგარეთ. თსუ-ს სპორტსმენების გადაადგილება სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად საქართველოს მამულებით. თსუ-ს ქალთა ანსამბლ გორდელას წევრების გადაადგილება საქართველოს მამულებით კულტურული ღონისძიებებისას. ადმინისტრაციის ყველა დეპარტამენტის მომსახურება, გადაადგილება და ტვირთის გადატანა, ასევე თსუ-ს უკლებლივ ყველა ფაკულტეტის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტრანსპორტთან დაკავშირებით. თბილისსა და საქართველოს სხვა რაიონების სკოლებში საბავშვო ლექციების ჩასატარებლად ლექტორების გადაადგილება. თსუ-ს ყველა კორპუსის და შემოერთებული ინსტიტუტების ყველა მოთხოვნის სატრანსპორტო უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის რედაქციის თანამშრომლების გადაადგილება ინტერვიუს ჩასაწერად და უნივერსიტეტის გაზეთების დარიგება ყველა კორპუსში. თსუ-ს სტამბის თანამშრომლების გადაადგილება.

ბაგების სტუდენტებში 60-მდე სტუდენტს გაუფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება; გადაიხურა პირველი კორპუსის სახურავი, მოხდა ეზოს ტერიტორიაზე ასფალტის საფარის დაგება, გადაიტინრა ოთახები და დაემატა ორი საცხოვრებელი ოთახი.

2015 წელს თსუ **პერსონალის მართვის დეპარტამენტის** საქმიანობის ფარგლებში ადმინისტრაციამ უზრუნველყო აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის სამტატო განრიგის მომზადება და დამტკიცება. თსუ აკადემიური, ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის სამტატო განრიგში, რამდენჯერმე, ფაკულტეტების და დეპარტამენტების ხელმძღვანელების დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები და თსუ-ს წესდების შესაბამისად, მომზადდა და გამოიცა რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებები (01/04 08.01.2015; 02/04 23.01.2015; 03/04 02.02.2015; 04/04 11.02.2015; 05/04 16.02.2015; 06/04 18.02.2015; 07/04 20.02.2015; 09/04 02.03.2015; 11/04 13.09.2015; 13/04 23.03.2015; 14/04 26.09.2015; 15/04 07.04.2015; 19/04 20.05.2015; 20/04 11.05.2015; 21/04 26.06.2015; 22/04 10.07.2015; 25/04 21.07.2015; 27/04 05.08.2015; 29/04 17.09.2015; 31/04 28.09.2015; 32/04 05.10.2015; 33/04 19.10.2015; 34/04 05.11.2015; 35/04 25.11.2015; 36/04 30.11.2015; 37/04 04.12.2015; 38/04 16.12.2015).

- ✓ დამტკიცებული სამტატო განრიგისა და სახელშეკრულებო ვადების გათვალისწინებით, 2015 წლის განმავლობაში კონკურსი გამოცხადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, იურიდიულ, მედიცინის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე. საკონკურსო წესით შერჩეულ აკადემიურ პერსონალთან სააუდიტორიო დატვირთვის გათვალისწინებით განისაზღვრა შრომის ანაზღაურების ოდენობა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ თსუ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 თებერვლის N7/2012 და 2013 წლის 4 ოქტომბრის N112/2013 დადგენილებების “ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად, პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ, ორივე სემესტრის

მიხედვით გაკონტროლდა ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო დატვირთვის შესაბამისობა პროფესორებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან. დამუშავებული ინფორმაცია პროფესორის ინდივიდუალურ დატვირთვისთან შედარების მიზნით მიენოდა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს, ხოლო სასწავლო ცხრილებთან შედარების მიზნით თსუ შიდა აუდიტის სამსახურს.

- ✓ პერსონალის მართვის დეპარტამენტის მიერ განეული სამუშაო ასევე მასშტაბურია ფაკულტეტებზე მონვეულ პედაგოგებთან და თსუ დამხმარე პერსონალთან მიმართებაში. სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრების მიხედვით, ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სააუდიტორიო საათების გათვალისწინებით, მონვეულ სპეციალისტებთან (პედაგოგებთან) გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. 2015 წელს მომზადდა და გაფორმდა 1290 ხელშეკრულება (მათ შორის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 263, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 165, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 184, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 156, იურიდიულ ფაკულტეტზე 117, მედიცინის ფაკულტეტზე 180, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 85, ენების შემსწავლელ ცენტრში 73, აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში 12, ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში 55 შრომითი ხელშეკრულება).
- ✓ 2015 წელს თსუ ფაკულტეტებზე და სხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სამუშაოების მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მონვეულ დამხმარე პერსონალთან განხორციელდა ხელშეკრულებების გაფორმება ან განახლება, წლის განმავლობაში მომზადდა და გაფორმდა 1370-ზე მეტი შრომითი ხელშეკრულება.
- ✓ 2015 წელს დეპარტამენტი ემსახურებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებების საფუძველზე (დადგენილება N 185, 09.07.2010; 210 27.07.2010; N 220 03.08.2010; 306 13.10.2010; 274 10.09.2010; 278 10.09.2010; 255 27.06.2011;), თსუ-სთან შემოერთებულ 14 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალს.
- ✓ დეპარტამენტის პასუხისმგებლობით განხორციელდა, ისევე როგორც გასულ წლებში, საკადრო ბაზაში სახელშეკრულებო მონაცემების, მათ შორის ხელფასის შესახებ მონაცემების შეტანა და კონტროლი.
- ✓ დეპარტამენტი ახორციელებდა თსუ-სა და სადაზღვევო კომპანია “ქართუს“-ს შორის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული საკითხების კოორდინაციას (ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით მოცული იყო თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი და მათი ოჯახის წევრები, სულ 1611 პირი, შევნიშნავთ, რომ 2014 და 2013 წლებთან შედარებით დაზღვეულთა საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა): ყოველთვიურად კონტროლდებოდა და ზუსტდებოდა დაზღვეული პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა, რის საფუძველზეც საფინანსო დეპარტამენტი ახდენდა თანხის გადარიცხვას. დეპარტამენტიდან გამოყოფილი საკონტაქტო პირი თავისი კომპენტენციის ფარგლებში კონსულტაციას უწევდა თსუ პერსონალს დაზღვევის დამატებით პირობებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფდა ინფორმაციის განთავსებას თსუ ვებ-გვერდზე, განცხადებების მიღებას შესაბამისი დოკუმენტების თანხლებით და გადაცემას სადაზღვევო კომპანიისადმი.

- ✓ სისტემატიზებული იქნა თსუ პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებით თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები და პრეტენზიები, რომელიც მიეწოდა შესაბამის სამსახურს მიმდინარე წლის სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ, ტექნიკური დავალების მომზადებისათვის.
- ✓ დეპარტამენტის მიერ მომზადდა უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მიმდინარე და ჯამური სტატისტიკური ანგარიშები და მიეწოდა შესაბამის სტრუქტურებს დადგენილი ფორმებისა და წესის შესაბამისად;
- ✓ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N 2019 დადგენილების „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ“ მოთხოვნის შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ მომზადდა და თსუ ვებ გვერდზე ვადების დაცვით განთავსდა ინფორმაცია საკადრო უზრუნველყოფის შესახებ, ინფორმაციის განახლება მიმდინარეობს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 23 დეკემბრის N162/02-01 ბრძანების შესაბამისად.
- ✓ დეპარტამენტი მონაწილეობს უნივერსიტეტში შექმნილი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში: დეპარტამენტის ხელმძღვანელი არის სატენდერო კომისიის წევრი, ასევე ჩართულია საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობაში, მთავარი სპეციალისტი ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედ დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიას.
- ✓ 2015 წელს დეპარტამენტმა გარკვეული მუშაობა განია საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე შემოერთებული სასწავლო უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პერსონალის პირადი საქმიანობის, სამტატო განრიგების, სახელფასო სისტემების, პერსონალთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესწავლისა და დამუშავების მიმართულებით.
- ✓ დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული აკადემიური, ადმინისტრაციულ-დამხმარე და სამეცნიერო პერსონალის მივლინებების შესახებ ბრძანების პროექტების მომზადებაში. ასევე ახორციელებს კონტროლს თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2012 წლის 09 ნოემბრის N38/04 ბრძანებით მოთხოვნილი სამივლინებო ანგარიშგების წერილობითი ფორმით წარმოდგენაზე.
- ✓ 2015 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით დეპარტამენტი თავისი კონვეტენციის ფარგლებში ყოველდღიურ რეჟიმში თანამშრომლობდა აუდიტის ჯგუფთან, მათი მოთხოვნის შესაბამისად სისტემატიზებული და მიწოდებული იქნა ყველა საჭირო ინფორმაცია;

დეპარტამენტი სისტემატურად ახორციელებდა დებულებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას:
- ✓ ყველა კატეგორიის პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე) ვაკანსიაზე დანიშვნის, სხვა თანამდებობაზე გადაყვანის, წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, გათავისუფლებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებას, შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას და წარდგენას ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის;
- ✓ შემოსული კორესპონდენციის განხილვას და აღრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზაციას, ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლს (2015 წლის განმავლობაში პერსონალის მართვის დეპარტამენტში შემოსულია 7100 -ზე მეტი სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი);

- ✓ საპენსიო ასაკის თანამშრომლებზე პენსიის დანიშვნისათვის საჭირო საბუთების მომზადებას და წარდგენას დანიშნულების მიხედვით;
- ✓ თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების განწევას თსუ პერსონალისათვის.
- ✓ თსუ პერსონალისათვის თანამდებობისა და ხელფასის ოდენობის დამადასტურებელი ცნობების გაცემას (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
- ✓ თსუ პერსონალის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლების კონტროლს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვის მიზნით.
- ✓ თსუ აკადემიური და ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალის შვებულებების გრაფიკის კონტროლს.

კომპიუტერული რესურსების მართვის მხრივ, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში შემავალმა განყოფილებებმა: ქსელისა და სერვერული სისტემების, ინფრასტრუქტურის განვითარების, პროგრამული უზრუნველყოფის, ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილებამ და დისტანციურისწავლების ცენტრმა უნივერსიტეტის საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით განხორციელა სხვადასხვა სახის სამუშაოები, კერძოდ:

2015 წლის იანვარიდან დღემდე საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება ახორციელებდა უნივერსიტეტის და სამეცნიერო ინსტიტუტების კომპიუტერული ტექნიკის აღრიცხვა - მონიტორინგს და აგრეთვე, კომპიუტერული პარკის განახლებას. ამ ამოცანების ფარგლებში წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ✓ მომზადდა საბეჭდი მონაცემები და კომპიუტერული ტექნიკის შეკეთების ტექნიკური დავალება, რის საშუალებითაც ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მეშვეობით მოხდა დაზიანებული ტექნიკის შეკეთება. სულ შეკეთებულ იქნა 106-ი საბეჭდი მონაცემი და კომპიუტერული ტექნიკა.
- ✓ გარდა ამისა, ხელშეკრულებებით მუდმივი სერვისის და მონიტორინგის ქვეშ იყო შემდეგი ასლგადამღებები: კანცელარიის და ბიბლიოთეკის თითო XEROX-ის აპარატი, ბიბლიოთეკის KONIKA და საგამოცდო ცენტრის სამი ერთეული KYOCERA.
- ✓ წლის განმავლობაში მომზადებულ იქნა შესასყიდი კომპიუტერული ტექნიკისა და საბეჭდი მონაცემილობების ტექნიკური დავალებები. სულ 120-მდე ტექნიკური დავალება.
- ✓ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდულ და საჭიროების მიხედვით გადანაწილებულ იქნა 220 ერთეული დესკტოპ კომპიუტერი და 52 ერთეული ლეპტოპი.
- ✓ სრულად განახლდა თსუ მეორე კორპუსის რესურს ცენტრის კომპიუტერების პარკი (25 კომპიუტერი). შესყიდულ იქნა და სასწავლო აუდიტორიებში დამონტაჟებულ იქნა 40 ერთეული პროექტორი.
- ✓ განხილულ იქნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ფაკულტეტების და სამეცნიერო ინსტიტუტების მიერ მოთხოვნილი 460 განცხადება. აქედან შესრულდა 345, ხოლო დანარჩენი გათვალისწინებული იქნება მიმდინარე წელს.
- ✓ დასახულ იქნა ის პრიორიტეტები, რომელიც უნდა შესრულდეს მიმდინარე წელს.

2015 წელს დისტანციური სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებულ იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- ✓ ელექტრონული სწავლების მიმართულებით მოხდა ათეულობით ელექტრონული კურსის დამატება მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში. აგრეთვე კონსულტაციებს ვუწვევდით პედაგოგებს ელექტრონული კურსების მომზადებაში და მათ განთავსებაში მართვის პროგრამული სისტემის (MOODLE) გარემოში.
- ✓ მხარდაჭერას ვუწვევთ და ვმონაწილეობთ რამოდენიმე საერთაშორისო საგრანტო პროექტში, რომელიც დაკავშირებულია თსუ-ში ელექტრონული სწავლების განვითარება/დანერგვასთან. ესენია: 1. „Development of Embedded System Courses with implementation of Innovative Virtual approaches for integration of Research, Education and Production in UA, GE, AM“ 544091-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPCR. 2. „Establishment of Multidisciplinary Innovative Centres for the Development of Virtual Laboratories (MICVL) in Biology and Medicine“ 543802-TEMPUS-1-2013-1-UK-TEMPUS-JPHES. 3. „Developing tools for lifelong learning in Transcaucasus region: e-Learning“ 544605-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPHES. 4. Development and Introduction of Multilingual Teacher Education programs at Universities of Georgia and Ukraine; Project Number 530360-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPCR
- ✓ ამ პროექტების ფარგლებში 2015 წლის გაზაფხულზე განხორციელდა სამიველი ვიზიტი ილმენაუს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (გერმანია).
- ✓ 2015 წლის დეკემბრის თვეში გაფორმებული იქნა მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“, მიზანია ისეთი ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მიმართული იქნება ერთის მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების განვითარებაზე და მეორეს მხრივ დაეხმარება „მაკლეინის ასოციაციას ბავშვებისთვის“ განხორციელოს საკუთარი საქმიანობა უფრო მოქნილად დისტანციური კურსების საშუალებით.
- ✓ განვახორციელეთ რამოდენიმე ვიდეოკონფერენცია როგორც საზღვარგარეთ მყოფ უნივერსიტეტის პარტნიორულ ორგანიზაციებთან, ასევე სასწავლო პროცესის მიხედვით დაგეგმილ დისტანციური ლექციების წასაკითხად.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილებამ 2015 წელს შეასრულა მასზე დაკისრებული შემდეგი დავალებები:

- ✓ უნივერსიტეტის სტრუქტურული ქვედანაყოფების აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის მონიტორინგი და მათი გამართული მუშაობა;
- ✓ კლიენტური აპარატული მოწყობილობების (პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები, ნეტბუქტები და პლანშეტები) მხარდაჭერა და წვრილმანი რემონტი;
- ✓ ქსელური და სატელეფონო საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია, რემონტი და მხარდაჭერა, კლიენტური საოპერაციო სისტემების მხარდაჭერა, საოფისე და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა.
- ✓ კომპიუტერული ქსელისა და სხვა საკაბელო ინფრასტრუქტურის ინსტალაცია-მონტაჟი.
- ✓ უნივერსიტეტის საბეჭდი, ასლგადამღები და სკანირების მოწყობილობების მხარდაჭერა და მათი სახარჯი მასალების ინსტალაციის უზრუნველყოფა.

- ✓ უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის ტექნიკური კონსულტაცია ტელეფონის საშუალებით და დისტანციურად დახმარების აღმოჩენა.
- ✓ 2015 წელს განყოფილებაში შესასრულებლად ოფისიალურად დაფიქსირდა 1501 პრობლემური საკითხი. მათ შორის იყო 115 პრიორიტეტული ამოცანა. შესრულებული ამოცანების დეტალური ინფორმაცია მოცემულია 89 გვერდიან დანართში.

ქსელის და სერვერული სისტემების თანამშრომელთა საქმიანობა 2015 წლის განმავლობაში ძირითადად დაკავშირებული იყო ინფორმაციული სერვისების, სერვერული ინფრასტრუქტურის, კომპიუტერული ქსელისა და ინტერნეტის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან. 2015 წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ✓ განხორციელდა ქსელური აპარატურის მოდიფიცირება თსუ-ს ვაკის და მალღვივ კორპუსებში. მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 კორპუსებში დაიდგა ახალი კომუტატორები (Cisco Catalyst 2960 Switches), რითაც გაიზარდა ქსელის გამტარუნარიანობა და შესაბამისად, კორპუსებში ინფორმაციული მომსახურების მინოღების ხარისხი.
- ✓ შესრულდა თსუ-ს ვაკის მონაცემთა ცენტრის მთავარი მარშრუტიზატორის (რუთერი) ჩანაცვლება ახალი მოდელით (Cisco ISR4451), რამაც მკვეთრად გაზარდა თსუ-ს ქსელის გამტარუნარიანობა და აამაღლა მისი წარმადობა.
- ✓ თსუ-ს შიდა კომპიუტერულ ქსელში მოექცა სამი ახალი ობიექტი: მალღვივ და ბიოლოგიების კორპუსები და ცენტრალური ბიბლიოთეკა. Site-to-Site VPN-ტექნოლოგიის მეშვეობით ასევე თსუ-ს შიდა ქსელში ჩაერთვნენ მე-3 კორპუსი (ფსიქოლოგიისა და პადაგოგიკის ფაკულტეტი) და მორფოლოგიის ინსტიტუტი (სამედიცინო ფაკულტეტი). აღნიშნულ ცვლილებათა შედეგად მომზადდა და მეტწილად განხორციელდა ნახსენები ობიექტების კომპიუტერული პარკის ინტეგრაცია თსუ-ს შიდა ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში (დომენი, ანტივირუსი და სხვა სერვისები).
- ✓ ცენტრალური (ვაკის) მონაცემთა ცენტრი გაფართოვდა ახალი, სწრაფქმედი გარე მეხსიერებით. შეძენილ და გამართულ იქნა მონაცემთა საცავის დამატებითი თარო (DELL PowerVault MD1220), რომელიც აღიჭურვა 13 SSD-დისკით. ახალ საცავში გადატანილ იქნა სწრაფქმედებისადმი მომთხოვნი ვირტუალური მანქანები (საფინანსო მონაცემთა ბაზის სერვერი, თსუ-ს მთავარი ვებ-გვერდი, დისტანციური სწავლების სისტემა Moodle).
- ✓ გაიმართა სარეზერვო ასლების NAS-სერვერი (QNAP TS259), რომლის ბაზაზეც სრულდება თსუ-ს კრიტიკული ინფორმაციული რესურსების (მონაცემთა ბაზები, ვებ-კონტენტი) გვემიური სარეზერვო კოპირება მთავარი მონაცემთა ცენტრიდან ფიზიკურად დაშორებულ ადგილზე.
- ✓ დაინერგა სარეზერვო ასლების და არქივების მართვის სისტემა Symantec NetBackup, რომლის მეშვეობითაც წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე სრულდება ვირტუალური სერვერების, ფაილური რესურსების და მონაცემთა ბაზების სარეზერვო ასლების შენახვა საჭიროების შემთხვევაში მათი აღდგენის შესაძლებლობით.
- ✓ მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია თსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა დაწესებულებების ინტერნეტით აღჭურვის შესახებ. 2016 წელს, თსუ-ს ყველა დაწესებულება (მცირე გამოწვევის მქონე გარდა) ოპტიკურ ინტერნეტ-მომსახურებას მიიღებს.

- ✓ დაინერგა ინტერნეტთან წვდომის კონტროლის სისტემა pfSense, რომელმაც ჩაანაცვლა არსებული პროქსი-სერვერი, რითაც გაუმჯობესდა ინტერნეტთან მოხმარებელთა წვდომის კონტროლი და შესაძლებელი გახდა მოხმარებელთა ტრაფიკის გაფილტვრა მათი პერსონალური კომპიუტერების დამატებითი კონფიგურირების გარეშე. მოცემულ ეტაპზე პროქსი-სერვისის გავლით ინტერნეტთან გაფილტვრულ წვდომას ახორციელებს თსუ-ს კომპიუტერული ქსელის მოხმარებელთა უმრავლესობა (ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, რესურს-ცენტრების მოხმარებლები).
 - ✓ ამაღლდა თსუ-ს უკაბელო ქსელიდან (Ruckus) ინტერნეტთან წვდომის კონტროლი. სტუდენტების, თანამშრომლებისა და სტუმრებისთვის, რომლებიც თსუ-ს ქსელიდან ინტერნეტში წვდომას საკუთარი მონაცემილობებით (ლექტორები, პლანშეტები, სმარტფონები) ახორციელებენ, შეიქმნა ცალკე პროქსი-სერვისი წვდომის ფილტრაციისთვის. გარდა ამისა, განხორციელდა გარე მონაცემილობათა ინტერნეტში წვდომის სიჩქარის „შეიპინგი“ ანუ შეზღუდვა გარკვეული გეგმიური სიდიდეების ფარგლებში.
 - ✓ გაგრძელდა და პრაქტიკულად დასრულდა თსუ-ს კომპიუტერული პარკის და ადმინისტრაციის მოხმარებელთა ინტეგრაცია ერთიან დომენურ სერვერში (Active Directory). დომენში მოექცა ყველა ადმინისტრაციული ერთეული, აკადემიური პერსონალი და რესურს-ცენტრები. გაინერგა ჯგუფური პოლიტიკა მოხმარებელთა სააღრიცხვო ჩანაწერების მართვისათვის.
 - ✓ სისტემების და ქსელების მართვის განყოფილების თანამშრომლები ჩართულნი იყვნენ სასწავლო პროცესის მართვის ახალი სისტემის (lms.tsu.ge) დანერგვის პროცესში, კერძოდ ასრულებდნენ სატესტო და საწარმოო სერვერების შექმნის და გამართვის, აგრეთვე აპლიკაციებისა და მონაცემთა ბაზების მიგრაციის ამოცანებს.
 - ✓ გაიმართა IT-ინფრასტრუქტურის ცენტრალიზებული მართვის სისტემა Configuration Manager, რომელიც თსუ-ს აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის ცენტრალიზებული მართვის, აგრეთვე რესურსების გამოყენების შესახებ რეპორტების შექმნის საშუალებას იძლევა.
 - ✓ საფუძველი ჩაეყარა სისტემებისა და ქსელების განყოფილების ტრენინგებს მოხმარებელთა მხარდაჭერის ჯგუფის (IT Support) განყოფილების თანამშრომლებისთვის. ტრენინგების მიზანს წარმოადგენს ორი განყოფილების თანამშრომელთა შორის სამოქმედო გეგმების სინქრონიზაცია, საერთო პრობლემების განსაზღვრა და მათი აღმოფხვრის მეთოდების შემუშავება.
- 2015 წელს თსუ-ს ყველა საბანკო ანგარიშები სხვადასხვა კომერციულ ბანკებში გაუქმდა და მთლიანად გადაეცა სახელმწიფო ხაზინას. აღნიშნულის გამო, ამავე დეპარტამენტის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ საჭირო გახდა პერსონალის მართვის და საფინანსო დეპარტამენტების მონაცემთა ბაზების სტრუქტურის მნიშვნელოვნად შეცვლა:
- ✓ ხაზინის ბაზაში გადატანილი იქნა თსუ-ს იერარქიულ-ფუნქციონალური სტრუქტურული ხე.
 - ✓ შეიქმნა პროცედურა, რომლის საშუალებითაც სრულდება თანამშრომელთა მონაცემების ექსპორტი თსუ-ს ბაზიდან ხაზინის ბაზაში.
 - ✓ შეიქმნა პროცედურა, რომლის საშუალებითაც სრულდება გამოწერილი ხელფასების ექსპორტი თსუ-ს ბაზიდან ხაზინის ბაზაში.
 - ✓ შეიქმნა პროცედურა, რომლის საშუალებითაც სრულდება ხაზინის ბაზაში დაფიქსირებული შემოსავლებისა და ხარჯების ატვირთვა თსუ-ს საფინანსო ბაზაში.

- ✓ ჩატარდა პერსონალის მართვის და საფინანსო დეპარტამენტების პერსონალს ტრენინგი განახლებული ინტერფეისების გამოსაყენებლად.
- ✓ შეიქმნა თსუ-ს ახალი კვების ობიექტების (მაღლივი კორპუსის სასადილო) მონაცემთა კომპიუტერული ბაზა და შესაბამისი ინტერფეისი მართვისა და ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებისთვის.
- ✓ სისტემატურად მიმდინარეობდა სასწავლო სემესტრის შესაბამისი ცვლილებები სტუდენტთა საფინანსო ბაზაში და სწავლის ქირის გადახდის კონტროლი.
- ✓ თსუ-ს მაგისტრატურის საფეხურზე მყოფ სტუდენტებისთვის 2015-16 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან დაინერგა ახალი სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (lms.tsu.ge), რომლის მეშვეობითაც ჩატარდა აკადემიური რეგისტრაცია. აღსანიშნავია რომ lms.tsu.ge ფუნქციონალური წინამორბედ (sms.tsu.ge) სისტემასთან შედარებით ბევრად მაღალია.
- ✓ შეიქმნა 19 ვებ-გვერდი: უურნალები: ekonomisti.tsu.ge; icae-2015.tsu.ge/ojs; newspaper.tsu.ge/ge ; isr.tsu.ge/ojs; tcm.tsu.ge/index.php/TCM-GMJ; http://cr.tsu.ge/; http://eb.tsu.ge/; http://psychology.tsu.ge/ge/ კონფერენციები: http://asj.tsu.ge/ge/; http://cepp.tsu.ge/; http://hepi-35.tsu.ge/; http://icc.tsu.ge/ge/; http://isapl.tsu.ge/ ინსტიტუტები: http://digitalhumanities.tsu.ge/ge/; http://gorc.tsu.ge/; http://linguistics.tsu.ge/ge/hoom/ გრანტები: http://kasa.tsu.ge/ge/; http://pita.tsu.ge/; http://samtskhe-javakheti.tsu.ge/ge/
- ✓ ამალდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემების (sms.tsu.ge, lms.tsu.ge) უსაფრთხოების დონე, მომხმარებლისთვის დროებითი პაროლის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მისვლის ხარჯზე.

III. საუნივერსიტეტო, საგარეო ურთიერთობები და ურთიერთობა საზოგადოებასთან

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, უნივერსიტეტის პოპულარიზაციის მიზნით 2015 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რაც აქტიურად შექცობდა მედია-საშუალებებით. გარდა ამისა მომზადდა საგაზეთო სტატიები, ასევე ტელე-რადიო სიუჟეტები და გადაცემები. 2015 წელს გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული უურნალის „თსუ მეცნიერება“ ერთი წლიური ნომერი (ქართულ და ინგლისურ ენებზე ცალ-ცალკე) ჯამში 4 ათასი ეგზემპლარი, შეიქმნა უურნალის ორენოვანი ვებგვერდი <https://tsu.ge/science/>. გამოიცა საგაზეთო ჩანართის „უნივერსიტეტი“ 12 ნომერი, თითოეული ნომერი 35 ათასი ტირაჟით (ჯამური ტირაჟი 420 ათასი). ჩანართის მიზანია უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის, კვლევითი პროექტების, სასწავლო პროგრამების და სტუდენტური აქტივობის პოპულარიზაცია.

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მუდმივ კავშირშია უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასა და ფაკულტეტების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და აბიტურიენტებთან. წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან.

აღნიშნული სტრუქტურებიდან მოძიებული/მონოდებული ინფორმაცია მუშავდება და მედიის სხვადასხვა საშუალებებში მიზანმიმართულად ვრცელდება; ასევე, ხელი ეწყობა უნივერსიტეტის შიგნით არსებული აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურების წარმომადგენლების კომუნიკაციას.

2015 წელს დეპარტამენტის ხელშეწყობით გაიმართა კონფერენციები, სემინარები, საჯარო ლექციები, ღონისძიებები, და კონკურსები, გაფორმდა მემორანდუმები, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად იღებდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები. წლის განმავლობაში 400-ზე მეტი ღონისძიება გაიმართა.

უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული და მიზანმიმართული გავრცელება საუნივერსიტეტო სივრცეში (*ვებ-გვერდი, ფეისბუქის გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სარეკლამო დაფები, უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში დამონტაჟებული ეკრანები*).

2015 წელს სოციალურ ქსელში – Facebook-ში აქტივობის მაჩვენებელი გაიზარდა. დღეისთვის 80 000-მდე მომხმარებელი იღებს ინფორმაციას თსუ-ს საქმიანობის შესახებ, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს საკუთარი არხი YouTube-ზე, სადაც თავსდება ყველა საჯარო ლექციის ჩანაწერი და უნივერსიტეტის შესახებ გადაღებული საინტერესო ვიდეო-მასალები.

2015 წელს უნივერსიტეტი აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობდა შემდეგ სახელისუფლებო სტრუქტურებთან: საქართველოს პრემიერის ადმინისტრაცია; საქართველოს მთავრობის კანცელარია - პრემიერ-მინისტრის აპარატი; საქართველოს პარლამენტი; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; ეროვნული გამოცდების და შეფასების ცენტრი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსხვავებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; საქართველოს უზენაესი და თბილისის საქალაქო სასამართლოები; თბილისის მერია; საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან.

- ✓ თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და კომპანია „ჯეოსელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლობით 2009 წელს სტარტი აიღო სტუდენტურმა ლიტერატურულმა კონკურსმა „**შემოდგომის ლეგენდა**“. 2015 წელს პროექტმა კიდევ უფრო გაზარდა მასშტაბები და საქართველოს რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიც მოიცვა. კონკურსის პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 380-მა კონკურსანტმა 16 სხვადასხვა უმაღლესი

სასწავლებლიდან, მათ შორის ბათუმის, ქუთაისის, გორის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან.

- ✓ სპეციალურმა უიურიმ 10 ფინანსისტი გამოავლინა, რომლებიც სამი დღის განმავლობაში კახეთში იმყოფებოდნენ და ახალ ნაშრომებს ქმნიდნენ. 25-26 ოქტომბერს კახეთში ყველაზე მასშტაბური სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის იმპროვიზაციული ტური და დაჯილდოების საღამო ჩატარდა. გამარჯვებულ სამეულს ფულადი პრემია გადაეცა. I ადგილის მფლობელი 1000 ლარით და კონკურსის სიმბოლოთი, II ადგილოსანი –700 ლარით, ხოლო III ადგილზე გასული კონკურსანტი 500 ლარის ოდენობის ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ.
- ✓ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო გამოფენაში. განათლების მეხუთე საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც 27-28 თებერვალს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ გაიმართა. გამოფენაზე თსუ ორიგინალური სტენდით წარსდგა და საგამოფენო სტენდის საუკეთესო დიზაინის ნომინაციაში გაიმარჯვა. გამოფენის სტუმრებმა მიიღეს ინფორმაცია თსუ ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), გაცვლითი პროგრამების შესახებ. ღონისძიების მსვლელობისას გაიმართა შემეცნებითი ხასიათის ვიქტორინა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ პრიზებით - თსუ-ს ბრენდირებული ატრიბუტიკით.
- ✓ 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეხუთედ ჩატარდა სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში „მისია2015“, რომელშიც უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები იღებენ მონაწილეობას. კონკურსის წლევეანდელი პარტნიორი „თიბისი ბანკი“, რომელიც გამარჯვებულ სამ გუნდს ფულად პრემიას გადასცემს, კონკურსის საპრიზო ფონდი 5000 ლარს შეადგენს. კონკურსის პირველ ტურსი მონაწილეობა 63-მა გუნდმა მიიღო, ხოლო ფინალში საუკეთესო 6 გუნდი გავიდა. კონკურსის ფინალი თებერვლის დასაწყისში გაიმართება.
- ✓ 2015 წელს უნივერსიტეტმა კიდევ ერთი სტუდენტური კონკურსი ჩაატარა. კონკურსი „თაობა L“ წიგნის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებში კითხვის კულტურის წახალისებას ემსახურება. კონკურსის პარტნიორი ორი წლის განმავლობაში გამოცემლობა „პალიტრა L“ იყო, ხოლო მომავალი წლიდან კონკურსში ახალი პარტნიორი „წიგნები ბათუმში“ ჩაერთვება. სტუდენტურ კონკურსში 500-მდე სტუდენტი ჩაერთო, რომლებიც 10 ტურის განმავლობაში შერჩეულ წიგნებს კითხულობდნენ და ტესტებს წერდნენ, საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტმა ფულადი პრიზი - 1000 ლარი მიიღო.
- ✓ 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე რუსთაველის გამზირზე სხვადასხვა უნივერსიტეტებთან ერთად გაიმართა თსუ-ს პრეზენტაცია.
- ✓ 2015 წელს ბაკალავრთა გამოშვების ღონისძიება საზეიმოდ აღინიშნა. უნივერსიტეტის ორგანიზებით 3000-მდე კურსდამთავრებულმა მოირგო მანტია და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში აღნიშნა უნივერსიტეტის დამთავრება. ბაკალავრის ხარისხის მოპოვება თსუ კურსდამთავრებულებს თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ. თსუ პროფესორებმა მიულოცეს. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის მუსიკალურმა ჯგუფმა „ნიუტონმა“ კონცერტი გამართა.

- ✓ 28-29 მაისს ექსპო-ჯორჯიაში გაიმართა წიგნის ფესტივალი, რომელშიც უნივერსიტეტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. გვიმართა უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია.
- ✓ 2015 წლის 10 სექტემბერს თსუ-ში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მაგისტრის წოდების მინიჭება კურსდამთავრებულებს თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავამ, თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა, თსუ პროფესორ-მასწავლებლებმა მიულოცეს. 2014-2015 სასწავლო წელს თსუ-ში 90 საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა მოქმედებდა, რომელიც 800-მა სტუდენტმა დაამთავრა.
- ✓ 2015 წლის 14 სექტემბერს თსუ-ში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. სტუდენტებს სწავლის დაწყება თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ, დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და ფაკულტეტების დეკანებმა მიულოცეს. თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მალაღი აკადემიური მოსწრებისთვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტი ვენერა ცერცვაძე რექტორის სტიპენდიით დააჯილდოვა. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგად უნარებში ყველაზე მალაღი ქულის მქონე პირველკურსელს, თსუ-ში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ დავით სოსელიას კომპანია „ჯინო ფერედაისმა“ ყოველთვიური სტიპენდია დაუნიშნა 200 ლარის ოდენობით.
- ✓ საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ 10-17 ნოემბერს გაიმართა მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეული, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად ჩაერთო. თსუ სტუდენტებმა კვირეულზე წარმოადგინეს საკუთარი გამოგონებები, რომელმაც სპეციალისტთა და დამთვალიერებელთა დიდი მონონება მოიპოვა. საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალის ფარგლებში თსუ სტუდენტებმა და პროფესორებმა გამართეს საჯარო ლექციები. დამთვალიერებლებმა მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ არქეოლოგიურ საველე სამუშაოებში, სახალისო ექსპერიმენტებში ფიზიკასა და ქიმიამში. „ექსპო-ჯორჯიაში“ გამოიფინა თსუ ზოოლოგიის მუზეუმისა და თსუ მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ექსპონატები.
- ✓ დეპარტამენტის თანამშრომლებმა წინასახალწლოდ მოამზადეს უნივერსიტეტის საიმიჯო ატრიბუტიკა; მათ შორის, კალენდარი, რომელიც ეძღვნება უნივერსიტეტელ მკვლევარებს, რომელთაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. კალენდარი, საფოსტო ბარათები, საიმიჯო ატრიბუტიკა უნივერსიტეტის ყველა მეგობარი ორგანიზაციისა და სტრუქტურის წარმომადგენელს, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლებს გადაეცა.

2015 წელს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები გაუქდა **ტელევიზიებში**: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კავკასია“, „ერთსულოვნება“, ტელეკომპანია „აჭარა“, „GDS“, „TV 3“, „ტაბულა“, „მაესტრო“, „ობიექტივი“, „პალიტრა TV“. **გაზეთებსა და უურნალებში**: „ახალი თაობა“, „რემონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კვირის პალიტრა“, „ტაბულა“, „ლიბერალი“, „პრაიმ-თაიმი“, „ვერსია“, „ქრონიკა“, „ალია“. **რადიოში**:

„საზოგადოებრივი რადიო“, „ფორტუნა“, „რადიო იმედი“, „რადიო უცნობი“, „თავისუფლება“, „მწვანე ტალღა“, „რადიო პალიტრა“, „ცხელი შოკოლადი“. **საინფორმაციო სააგენტოებში:** „ინტერპრესნიუსი“, „პირველი“, „მედიანიუსი“, „ბი-ეს-პრესი“, „კავკას-პრესი“, „ახალი ამბები – საქართველო“, „საინფორმაციო სააგენტო – ფაქტი“, „ექსპრესნიუსი“, „ინფო-9“, „ივერონი“, „ფრონტიუსი“, „ნიუს.ჯი“.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საჯარო რესპონდენტთა შერჩევას, აწვდის მათ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილ სიახლეებისა და პროექტების შესახებ, რომლის მიხედვითაც უზრუნველდება ქმნიან სატელევიზიო თუ რადიო სიუჟეტებს, წერენ საინტერესო სტატიებს.

ტელეკომპანიების „რუსთავი 2“-ს, „იმედი“, „მაესტრო“, „ერთსულოვნება“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ეთერში მომზადდა ექსკლუზიური სიუჟეტები უნივერსიტეტში მიმდინარე საინტერესო მოვლენებზე.

ყოველთვიურად მედიაში (ტელე, რადიო, ბეჭდური, ინტერნეტმედია) დაახლოებით 400-500 სტატია, სიუჟეტი და ინფორმაცია ვრცელდება საუნივერსიტეტო ღონისძიებების შესახებ (წელიწადში დაახლოებით 6 000-მდე).

საგარეო ურთიერთობების მხრივ, საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება/განახლების მიმართულებით, ახალი პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების მოძიების, სხვადასხვა საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აქტიური მიმოწერისა და მოლაპარაკებების საფუძველზე შემუშავებულ იქნა აკადემიური თანამშრომლობის ფორმატი და საბოლოო ჯამში გაფორმდა/განახლდა განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის 26 ხელშეკრულება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

მომზადდა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შუამდგომლობის მრავალი წერილი თსუ-ს სტუდენტებსა და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალზე ვიზების გაცემის მიზნით; ასევე, მომზადდა ასობით უცხოენოვანი წერილი, მათ შორის, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში ათეულობით ინსტიტუციონალური მხარდაჭერის წერილი/მანდატი და სხვ.

✓ სხვადასხვა ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა და ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა ერასმუს+ის კრედიტ მობილობის 51 საერთაშორისო საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 28 პროექტი.

✓ 2015 წელს ადმინისტრირება გაენია შემდეგ პროექტებს:

1. **ERASMUS MUNDUS - WEBB/Whole Europe beyond Borders** საერთო ბიუჯეტი: 3,926,700 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე
2. **ERASMUS MUNDUS - BACKIS / Between Black and Caspian Seas** საერთო ბიუჯეტი: 3,960,800 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე
3. **ERASMUS MUNDUS - ELECTRA /Enhancing learning in ENPI Countries through Clean Technologies and Research-Related Activities** საერთო ბიუჯეტი: 3,959,725 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე

4. **ERASMUS MUNDUS - IANUS/Inter-Academic Network Erasmus Mundus** საერთო ბიუჯეტი: 3,920,475 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე
5. **ERASMUS MUNDUS – EMBER/Erasmus Mundus Broadening Educational Experiences** საერთო ბიუჯეტი: 3,090,150 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე
6. **ERASMUS MUNDUS – HERMES/Humanities Education Revitalized Via Mundus** საერთო ბიუჯეტი: 2,299,375 ევრო; ხანგრძლივობა 48 თვე
7. **ERASMUS +ის 28 პროექტი**, ხანგრძლივობა 2015-17 წწ. ერასმუს მუნდუსისა და ერასმუს+ ის პროექტების ფარგლებში საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს თსუ-ს სამივე საფეხურის სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას ევროპის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისევე როგორც პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების სტუდენტების, მკვლევარებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მობილობას თსუ-ში.
8. **TEMPUS - La MANCHE /Leading and Managing Change in Higher Education** პროექტის მიზანია თითოეულ მონაწილე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ლიდერობის უნარებისა და გავრცელებული მმართველობითი მოდელების გაზიარება/გავრცელება; ევროკავშირის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ აპრობირებული და ეფექტური მართვის მოდელების გაზიარება სომხეთის, ბელორუსის, მოლდოვას, უკრაინისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის; პარტნიორი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში მონაწილე სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეებისათვის დიალოგისა და ერთობლივი პრობლემების გადაწყვეტის რეჟიმში მუშაობის ხელშეწყობა, კერძოდ სტუდენტების მხრიდან ინიციატივების სტიმულირება; ცალკეული რეგიონის უმაღლესი განათლების სისტემაზე მორგებული უნივერსიტეტის მენეჯმენტის მოდელის შემუშავება; ცნობიერების ამაღლება ევროპის უმაღლესი განათლების სისტემაზე და ინტერნაციონალიზაციის როლის მნიშვნელობაზე. პროექტის საერთო ბიუჯეტი 930 724,52 ევრო, ხანგრძლივობა - 36 თვე (2012-2015წ.).
9. **TEMPUS – PACT/Project Actors Capacity Training in Caucasus** პროექტი მიზნად ისახავს კავკასიის უნივერსიტეტებში კადრების მომზადება-გადამზადებას პროექტის განვითარებისა და მენეჯმენტის მიმართულებით დოქტორანტების, ახალგაზრდა მკვლევარებისა და ლექტორების მიერ საერთაშორისო პროექტების ინიცირებისა და მართვის უნარების განვითარების გზით. პროექტის საერთო ბიუჯეტი - 573,562.80 ევრო, ხანგრძლივობა- 24 თვე (2013-2015 წ.).
10. **TEMPUS – PICASA/Promoting Internationalization of HEIs in Eastern Neighborhood Countries through Cultural and Structural Adaptations** პროექტის მიზანია აღმოსავლეთის სამეზობლო სივრცის (საქართველო, სომხეთი, ბელორუსი და უკრაინა) უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემების წინსვლა აღნიშნული ქვეყნების უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მენეჯმენტის სტრუქტურულ და კულტურულ კომპონენტებში ინტერნაციონალიზაციის განზომილების განვითარებისა და ინტეგრაციის გზით. პროექტის საერთო ბიუჯეტი - 118,740.02 ევრო, ხანგრძლივობა: 36 თვე (2013-2016 წ.).
11. **Marie Curie Actions/IRSES -Possibilities and Limits, Challenges and Obstacles of Transferring CEE EU Pre-accession Best Practices and Experience to Moldova’s and Georgias Pre-accession Process** პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს კვლევას ევროკავშირისა და მოლოდვის და ასევე ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების მიმართულებით ისეთ სფეროებში, როგორცაა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, ევროკავშირში განვითარების პირობები, სხვადასხვა ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური ასპექტები დაკავშირებული ორი ქვეყნის (საქართველო და მოლდოვა) ევროკავშირში განვითარების წინა პროცესთან. პროექტის ფოკუსი და პროექტთან დაკავშირებული კვლევები ემყარება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების

გამოცდილებების გაზიარების შესაძლებლობებს და ანალიზს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ოსუ-ს პროფესორებს და დოქტორანტებს შესაძლებლობა ეძლევათ გაატარონ 1 სრული თვე ტარტუს (ესტონეთი), ვილნიუსის (ლიტვა) ან მოლდოვის უნივერსიტეტებში. ვიბიტის ფარგლებში მკვლევარების სამუშაო განისაზღვრება რეგულარული თემატური სამუშაო შეხვედრებით და პულიკაციებით. კვლევის შედეგები გამოიყენება ევროკავშირთან დაკავშირებული კურიკულუმის და კურსების გაუმჯობესებასა და განვითარებისთვის ყველა მონაწილე უნივერსიტეტში: ტარტუს უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, მოლდოვისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. პროექტის ხანგრძლივობა: 01.03.2013 - 31.03.2017.

12. Mevlana Exchange Program მევლანას გაცვლითი პროგრამა საშუალებას აძლევს თურქეთში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განახორციელონ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო 2013-2014 სასწავლო წლიდან და ხელშეკრულება გააფორმა 26 თურქულ უნივერსიტეტთან, რომლებთანაც ახორციელებს ბაკალავრიატის/მაგისტრატურის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლებს.
13. Smart-up Georgia 2015 წელს ესტონური კომპანია „BDA Consulting“-თან თანამშრომლობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი „Smart-up Georgia“ (www.smartupgeorgia.com), რომელიც მიზნად ისახავდა ტრენინგ-პროგრამების საშუალებით სტუდენტების მომზადებას სტარტაპების განსავითარებლად. აღნიშნული პროექტის ფარგლებში კონკურსის წესით შერჩეულ ათეულობით სტუდენტს (133 მონაწილე გუნდიდან პროექტისთვის შერჩეულ იქნა 20 გუნდი) შესაძლებლობა მიეცა ტრენინგ-პროგრამების საშუალებით განვითარებისათვის ბიზნესის წამოწყებისთვის საჭირო უნარები, უცხოელი და ადგილობრივი მენტორების ხელმძღვანელობით დაეხვეწათ საკუთარი ბიზნეს იდეები და მომზადებულიყვნენ ფინანსისთვის, რაც ითვალისწინებდა საუკეთესო სამეულის გამოვლენას და ფულადი პრიზით დაჯილდოვებას (საპრიზო ფონდი 10000 ლარი). ამასთანავე, 2015 წლის ივნისის დასაწყისში სამეულში გასული გუნდები პროექტის დაფინანსებით 1 კვირიანი სასწავლო პროგრამით გაემგზავრნენ ესტონეთის რესპუბლიკაში.
 - ✓ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია ათეულობით საერთაშორისო კონფერენციას, სემინარს, საჯარო ლექციას და რიგ შემთხვევებში უზრუნველყო ღონისძიების ინგლისურ/გერმანულენოვანი თარგმანი.
 - ✓ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია 15 საპატიო სტუმრისთვის ოსუ საპატიო დოქტორის ტიტულის მინიჭების ღონისძიებას.
 - ✓ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ოსუ-ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტებზე და სტენდებზე გაავრცელა 150-მდე განცხადება გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ და დაინტერესებულ პირებს გაუწია კონსულტაციები სააპლიკაციო პროცედურებთან დაკავშირებით.
 - ✓ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია ოსუ-ს სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შესარჩევ კონკურსებს ერასმუს მუნდუსის, ერასმუს პლიუსის, მევლანას, მარი კიურის გაცვლითი პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოცხადებული სტიპენდიების

მოსაპოვებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 122-მა სტუდენტმა, 3 მკვლევარმა და 18-მა აკადემიურმა/ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

- ✓ თსუ-სა და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და ერასმუს მუნდუსის, ერასმუს პლიუსის, მევლანასა და მარი კიურის გაცვლითი პროგრამების ფარგლებში საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 32 გაცვლითი სტუდენტის, 18 მკვლევარის და 6 აკადემიური პერსონალის ვიზიტს და უზრუნველყო მათი მოხილობა თსუ-ს პროფილურ ფაკულტეტებზე.
- ✓ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციული პერსონალის 33 სამუშაო ვიზიტის განხორციელებას საზღვარგარეთ.

2015 წლის მანძილზე *გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“* რედაქციის მიერ მომზადდა და გამოიცა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ 17 ნომერი (აქედან 3 სპეც-ნომერი), რომლის გავრცელებაც (ტირაჟი - 1600 ც.) უნივერსიტეტის მასშტაბით იქნა უზრუნველყოფილი.

2015 წლის მანძილზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ, თსუ-ს მულტიმედიაცენტრის ბაზაზე, მომზადდა 17 გადაცემა „უნივერსიტეტი“ (თითო გადაცემა 45-50 წთ), რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად ყოველ შაბათს გადის მეორე არხის ეთერში;

2015 წლის მანძილზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ, თსუ-ს მულტიმედიაცენტრის ბაზაზე, მომზადდა 6 გადაცემა „სუპერ-ეგო“-ს პროექტის ფარგლებში (თითო გადაცემა 50 წთ).

2015 წლის მანძილზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის ორგანიზებით გამართულ ღონისძიებებზე ნაჩვენები იყო გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები: აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეზე, არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილზე და ლექსიკოგრაფ არიანე ჭანტურიაზე.

2015 წელს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ მომზადდა და უნივერსიტეტის მასშტაბით გავრცელდა კრებული (პუბლიცისტური ნარკვევები) პეტრე მელიქიშვილზე.

მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და დიდი ოდენობისაა უნივერსიტეტის მიერ ოფიციალური მიმოწერის სახით ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დამყარებული ოფიციალური ურთიერთობა, რაც საკანცელარიო წესით აღირიცხება უნივერსიტეტის *კანცელარიის* მიერ და 2015 წელს გამოიხატა შემდეგ რიცხვებში:

2015 წელს კანცელარიაში დარეგისტრირდა 78 259 კორესპონდენცია.

მათ შორის:	
შემოსული კორესპონდენცია	49 631
კონტროლზე იყო აყვანილი	6 255
ყველა წერილზე რეაგირება მოხდა დადგენილ ვადაში,	
გამოიყა ბრძანება	7 475
გაფორმდა ხელშეკრულება (მემორანდუმი)	9 210(76)
სხვადასხვა ორგანიზაციებში და თსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებში გაიგზავნა კორესპონდენცია	11 943

წინა წელთან შედარებით დოკუმენტბრუნვა გაიზარდა 12.9%-ით და იგი ძირითადად უკავშირდება შემოსული კორესპონდენციისა და ხელშეკრულებების რაოდენობის მატებას.

შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა ზრდა განაპირობა სტუდენტთა მოთხოვნებმა სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდისა და სწავლის საფასურის დაბრუნების თაობაზე. სწავლის საფასურის დაბრუნება უკავშირდება შიდა საუნივერსიტეტო, განათლების სამინისტროს, მერიის, მუნიციპალიტეტებისა და ინვესტორების მიერ სტუდენტთა სწავლის საფასურის დაფინანსებას. ხელშეკრულებების რაოდენობა კი გაიზარდა მოკლევადიანი ხელშეკრულებების, შესყიდვების, საგრანტო და საათობრივი წესით მონვეული პედაგოგების ხელშეკრულებების ხარჯზე.

გაიზარდა ასევე, დოკუმენტბრუნვის კოეფიციენტი კერძოდ, შემოსული 49 631 კორესპონდენცია, ხოლო განხილულია 58 098. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ დოკუმენტი უფლებამოსილი პირის რეზოლუციის შესაბამისად განსახილველად გადაეცემა რამოდენიმე სამსახურს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღინიშნოს რომ, ადმინისტრაციული ერთეულების მიერ დოკუმენტების განხილვა და მათზე რეაგირება ხდება ოპერატიულად. კერძოდ, შემოსული კორესპონდენციის 29% შესრულდა დაუყოვნებლივ 1-2 დღის ვადაში, 55% კი 2-15 დღის ვადაში, ანუ 15 დღის ვადაში დასრულდა მუშაობა და კონტროლიდან მოიხსნა შემოსული კორესპონდენციის 84%. 15 დან - 30 დღეში, დოკუმენტზე მუშაობის ვადაში (30 დღე) დასრულდა მუშაობა კორესპონდენციის 15%-ზე, მხოლოდ კორესპონდენციის 5% მოიხსნა კონტროლიდან 30 დღის შემდგომ პერიოდში. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული განპირობებული იყო ძირითადად ობიექტური გარემოებებით და დაკავშირებული იყო ტენდერით რეგულირებად საკითხებთან (ერთგვაროვანი მოთხოვნები ერთიანდება და შესაბამისად ცხადდება ტენდერი).

კანცელარიაში შექმნილია ელექტრონული საქმისწარმოების მონაცემთა ბაზა, რომელშიც წარმოებს შემოსული და გასული კორესპონდენციის, ასევე თსუ-ში ნაწარმოები სხვა დოკუმენტების აღრიცხვა. მონაცემთა ბაზის საშუალებით ხორციელდება დოკუმენტების დადგენილ ვადებში შესრულების მონიტორინგი და ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. ანალოგიური ელექტრონული საქმისწარმოების მონაცემთა ბაზა მუშაობს ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში, რომელიც ჩვენს მიერ იქნა ადაპტირებული და მორგებული მათ სამუშაო სიტუაციას. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ

კანცელარიაში მოქმედი პროგრამა მუშაობს ავტონომიურ რეჟიმში – თსუ-ში მოქმედი ქსელური სისტემის – კანცელარიის ჯგუფში.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შეიქმნას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი პროგრამა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს. ამისათვის აუცილებელია ჩატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები: შესწავლილ იქნეს და აღინეროს თსუ სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული პროცესები, მისგან გამომდინარე ფუნქციონალური და არაფუნქციონალური მოთხოვნები. კლასიფიცირებულ იქნას უნივერსიტეტის სივრცეში მოძრავი დოკუმენტის ტიპები, დოკუმენტის ტიპის მიხედვით შემუშავდეს მისი მოძრაობის მარშრუტები, განისაზღვროს შემსრულებლები და გაიმიჯნოს უფლებამოსილობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით თითოეულმა დეპარტამენტმა წარმოადგინა სტრუქტურის ფარგლებში დოკუმენტების მოძრაობის სქემა, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს საშუალებას მისცემს მოახდინოს პროცესის დეტალიზაცია, დავალების მონახაზის შეთანხმების შემდეგ ტექნიკური სამუშაოს შესრულება, თითოეული მონაცემისა და ფუნქციის სიღრმისეული ჩაშლა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განხორციელდეს არა მარტო ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ერთიანი პროგრამის შექმნა, არამედ განხორციელდეს უნივერსიტეტის ელექტრონული მართვა და არსებული ელექტრონული მართვის სეგმენტები (პერსონალის მართვა, საფინანსო, სასწავლო, საგამოცდო, სამეცნიერო და სხვა) გაერთიანდეს და შეიქმნას უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის სისტემა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩატარდა არა ერთი შეხვედრა როგორც უნივერსიტეტში ისე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, რომელმაც შემოგვთავაზა მათთან მოქმედი ელექტრონული საქმისწარმოების - „EFLOW” პროგრამაში ჩართვა. მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს ტრენინგები და საქმიანი შეხვედრები არსებული პროგრამის უნივერსიტეტში დანერგვისათვის.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს 2011 წლამდე ნაწარმოები მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი დოკუმენტების არქივირება და შესაბამისად უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში წარიმართება დოკუმენტების აღწერის, ექსპერტიზის, საქმეებად ფორმირებისა და არქივისათვის გადაცემის პროცესი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თსუ კანცელარიის არქივში დოკუმენტები ინახება მხოლოდ მატერიალურ მატარებელზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში 2006 წლიდან დღემდე დიდი მოცულობით დაგროვდა ელექტრონულად ნაწარმოები დოკუმენტები, რომელთა შენახვის ვადები შეესაბამება მატერიალურ მატარებლებზე დოკუმენტების ანალოგიური სახეობის შენახვის ვადებს და მათი შენახვისა და არქივირების წესი განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით

ამდენად, დღის წესრიგში დგება ელექტრონული არქივის შექმნის საკითხი. კანონმდებლობის შესაბამისად იგი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით, განისაზღვროს ელექტრონული დოკუმენტების შენახვის ადგილი, შემუშავდეს დოკუმენტების შენახვის

წესი, განისაზღვროს პასუხიმგებელი პირი, განხორციელდეს თსუ დეპარტამენტებსა და ფაკულტეტებზე ელექტრონულად ნაწარმოები ხანგრძლივად და მუდმივად შესანახი დოკუმენტების ელექტრონულ მატარებელზე დაარქივება და ა.შ.

ამრიგად, ელექტრონული დოკუმენტების არქივირებისათვის აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გასატარებელია მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა რეალიზება სცილდება კანცელარიის შესაძლებლობის ფარგლებს და მოთხოვს პროფილური დეპარტამენტების ჩართულობას.

IV. საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საჯაროობა, კანონიერების უზრუნველყოფა და კონტროლი, უსაფრთხოების დაცვა

საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფის მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს 2015 წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა, რაც მოიცავდა უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის იურიდიულ ანალიზსა და რეკომენდაციებს, სამართლებრივი რეკომენდაციების საფუძველზე კანონდარღვევათა მაქსიმალურ პრევენციას, ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას, სასამართლოში უნივერსიტეტის ინტერესების დაცვას. 2015 წელს მიმდინარე სასამართლო პროცესები (სულ 18), აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 4, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1, სტუდენტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებით - 3, სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით - 2, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით - 1, აკადემიურ თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით - 2, პლაგიატთან დაკავშირებით - 2, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით - 1, უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით - 1. 2015 წელს დამთავრებული საქმეები (სულ - 9) აკადემიური პერსონალის კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავა - 2, სტუდენტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული დავა - 1, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით - 1, სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 1, დიპლომის გაცემასთან დაკავშირებული დავა - 1, სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებული დავა - 2, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით - 1.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეგისტრირებული იქნა 75 განაცხადი. აღნიშნული 75 განაცხადიდან: დაკმაყოფილდა - 65 განაცხადი, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 8 და არ დაკმაყოფილდა 2 განაცხადი (ინფორმაციის გაცემის შესახებ უფლებამოსილი პირის თანხმობის არარსებობის გამო).

სამართლებრივი შეფასება და რეაგირება გაუკეთდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში შემოსულ 1643 განცხადებაში დასმულ საკითხებს, მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებებსა და მემორანდუმებს, საგრანტო ხელშეკრულებებს, მომზადდა ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებები.

გატარდა და მიმდინარეობს ღონისძიებები უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების დადგენილი ფორმით სარგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით (მათ შორის საქართველოს

მთავრობის დადგენილებების საფუძველზე უნივერსიტეტისათვის შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები). უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის განმავლობაში უნივერსიტეტს სარგებლობაში გადმოეცა ოთხ მისამართზე არსებული უძრავი ქონება (ხუთ საკადასტრო კოდზე რიცხული).

2013 წელს დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების, მათ შორის სტრუქტურული ერთეულების დებულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, მათში ცვლილებების შეტანა და ახალი დებულებების დამტკიცება.

„საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მოთხოვნების უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს შესაბამისი ინფორმაციის ატვირთვა და განახლება დადგენილი წესით.

საქმიანობის კონტროლის მიზნით უნივერსიტეტის მიერ 2015 წლის განმავლობაში *შიდა აუდიტის* განხორციელების მხრივ განეული იქნა მასშტაბური და მრავალმხრივი სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებით ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიმდინარე სამუშაო პროცესში არსებული საკითხების შესწავლა, რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენციის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა. ამასთან, სამსახური ახორციელებდა უნივერსიტეტში შემოსული წერილების (საჩივრები, კითხვები და ა.შ.) შესწავლასა და შესაბამის რეაგირებას კომპეტენციის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა მომართვის საფუძველზე, სამსახური მათ პერმანენტულად უწევდა კონსულტაციებს და აძლევდა სათანადო რეკომენდაციებს რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე მომზადებული მოხსენებითი ბარათების სახით, სამუშაო პროცესში წამოჭრილ პრობლემურ საკითხებთან მიმართებაში, ახორციელებდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

- ✓ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ (შემდგომში სამსახური) განხილულ იქნა უნივერსიტეტის მიერ ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული და ბიბლიოთეკის შტამპით დამოწმებული წიგნების ხელმეორედ შექმნის ფაქტი. შესაძლო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამო სამსახურის მიერ მოთხოვნილ იქნა მასალების სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემა.
- ✓ სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა საგრანტო პროექტების ფარგლებში შექმნილი ნოუთბუქების კუთვნილების საკითხი. საფინანსო დეპარტამენტს დაევალა იურიდიული საფუძვლების გარეშე უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების ფიზიკურ პირებზე დაბრუნება, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა საფინანსო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო.
- ✓ სამსახურის მიერ შესწავლილ სამაგისტრო პროგრამაზე საგამოცდო ბილეთების შეუსაბამობა დამტკიცებულ პროგრამასთან და პრეტენდენტთა ნაშრომების არაობიექტური გასწორების ფაქტი. საკითხის შესწავლით გამოიკვეთა სამაგისტრო პროგრამის საგამოცდო ბილეთების შედგენაზე და

საგამოცდო ნაშრომების შეფასებაზე პასუხიმგებელ პირთა მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური ნორმების დარღვევა. შესაბამისად, მათი პასუხიმგებლობის საკითხის განხილვა დაევალა უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებით შექმნილ კომისიას (N3318/02 06.02.2015წ.)

- ✓ სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა სტუდენტის მიერ გართობის მიზნით ორი ცეცხლმაქრის დაცლის ფაქტი. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების განხილვა დაევალა ფაკულტეტის საბჭოს.
- ✓ სამსახურის მიერ განხილულ იქნა ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის მთავარი სპეციალისტის განცხადებები, რომლებიც შეეხებოდა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაუგრძელებლობას ინსტიტუტის დირექტორის მხრიდან. საკითხის განხილვის შემდგომ განმცხადებელს ეცნობა წერილით.
- ✓ მომზადდა ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ თსუ შესაბამისობის აუდიტის შედეგად მიღებული რეკომენდაციების უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებისა და სამოქმედო გეგმების შესახებ. შესაბამისად, გაიგზავნა წერილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. იურიდიულ დეპარტამენტს მიეცა რეკომენდაცია ბრძანების პროექტის მომზადებაზე, რითაც სტრუქტურულ ერთეულებს დაევალებოდათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.
- ✓ განხილული იქნა ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის აპარატის თავმჯდომარის მოხსენებით ბარათი თსუ გამომცემლობაში არსებული სახარჯი მასალების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობების შესახებ. გამოვლინდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევის ფაქტები. საინვენტარიზაციო კომისიას, საფინანსო დეპარტამენტს, პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები.
- ✓ სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობა, კერძოდ 2013-2014 წლებში დამტკიცებული პროგრამების მიხედვით ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები. გამოვლენილ ნაკლოვანებებზე სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებზე (აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, პერსონალის მართვისა და საფინანსო დეპარტამენტები) გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.
- ✓ სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 5 ნოემბრის N871 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის „ზამთრის სკოლების დაფინანსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დაფინანსების ხარჯვის და აუთენტიკური თანხის უკან დაბრუნების საკითხი და განმეორებით გაგზავნილი იქნა წერილი სამინისტროში.
- ✓ სამსახურმა შეისწავლა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების განცხადებაში აღნიშნული ფაქტები, კერძოდ ერთერთ საგანში გამოცდის ჩატარებისას დაფიქსირებული დარღვევები. გამოიკვეთა პერსონალის მხრიდან უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და

დისციპლინური პასუხისმგებლობის, აგრეთვე ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ნორმების დარღვევის ფაქტები. შედეგად მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას.

- ✓ სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის არაკორექტული ქმედებების საკითხი. სტუდენტის დისციპლინური დევნის განხილვა უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად დაევალა ფაკულტეტის საბჭოს.
- ✓ სამსახურის მიერ განხილულ იქნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგის არაკორექტული ქმედებები დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა მიმართ. გამოიკვეთა პერსონალის მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა. მასალები რეაგირებისათვის გადაეგზავნა პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას.
- ✓ სამსახურმა შეისწავლა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის განცხადება, რომელიც შეეხებოდა სამაგისტრო პროგრამის სილაბუსში ხელმძღვანელის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს. გაირკვა, რომ სილაბუსის ცვლილება შეთანხმებული არ ყოფილა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შესაბამისად არ დამტკიცებულა აკადემიური საბჭოს მიერ. გამოვლინდა პერსონალის მხრიდან უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა. შესაბამისად, მასალები რეაგირებისთვის გადაეგზავნა პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას.
- ✓ სამსახურმა განიხილა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა განცხადება, რომელიც შეეხებოდა ამავე ინსტიტუტის დირექტორის ქცევის ეთიკურობას. საკითხის განხილვის შემდგომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე მომზადდა მოხსენებითი ბარათი, რითაც პერსონალის დისციპლინურ კომისიას დაევალა ინსტიტუტის დირექტორის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების მიხედვით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მსჯელობა.
- ✓ სამსახურის მიერ საკითხის შესწავლის შემდეგ პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას გადაეგზავნა მასალები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მიერ ამავე ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის მიმართ არაკორექტული ქმედებების შესახებ.
- ✓ სამსახურმა შეისწავლა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების და ამავე ფაკულტეტის კათედრის ხელმძღვანელის კორესპოდენციაში დასმული საკითხები, რომელიც შეეხებოდა სახელმძღვანელოსა და სავარჯიშოების თარგმნას, რედაქტირებასა და გამოცემას. გამოიკვეთა მთარგმნელების მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტები. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას.
- ✓ სამსახურმა განიხილა ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების განცხადება, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების და სამთვიან შრომითი ხელშეკრულებაზე (გამოსაცდელი ვადით) გადაყვანის შესახებ. საკითხის შესწავლით ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობა არ გამოვლენილა.

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს გაეგზავნათ სამსახურის მიერ მომზადებული ინფორმაცია უნივერსიტეტის 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის შესაბამისობის აუდიტის დასკვნით გაცემული რეკომენდაციების შესრულებისა და სამოქმედო გეგმების შესახებ.
- ✓ სამსახურმა განახორციელა თსუ გამომცემლობის (სტამბა) სახარჯი მასალების ბუღალტრული და ფაქტობრივი ნაშთების შედარება. გამოვლენილ სხვაობებზე საინვენტრაიზაციო კომისიას, საფინანსო დეპარტამენტს, პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედ კომისიას განმეორებით მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები.
- ✓ სამსახურმა შეისწავლა თსუ მინერალოგიის მუზეუმში დაცული კოლექციის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიისათვის გადაცემის საკითხი. მუდმივმოქმედ საინვენტრაიზაციო კომისიას და საფინანსო დეპარტამენტს მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები.
- ✓ შიდა აუდიტის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების თანამშრომლები, გარდა დებულებით განსაზღვრული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში გამოცხადების ყოველდღიური მონიტორინგისა, მ/წ 2 ნომბრიდან ახორციელებდნენ არასამუშაო საათებში და დასვენების დღეებში (შაბათი) თსუ კორპუსების მიხედვით ლექცია-სემინარების ჩატარების მონიტორინგს.
- ✓ სამსახური პერმანენტულად ახორციელებდა ადმინისტრაციული, დამხმარე და აკადემიური პერსონალის მიერ თსუ-ის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, რაზედაც თსუ-ის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებულია შესაბამისი 963 წერილი სათანადო განმარტებებით.

სულ საანგარიშო წელს შიდა აუდიტის სამსახურს განსახილველად მიღებული აქვს 1129 კორესპონდენცია.

დაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით 2015 წელს ტარდებოდა მიმდინარე საქმიანობა.

- ✓ 13 ივნისის სტიქიური უბედურების ღამეს სამსახურის ხელმძღვანელის და მასთან კოორდინაციაში მყოფი დაცვის თანამშრომლების მხრიდან, სამსახურეობრივი მოვალეობების პირნათლად შესრულების შედეგად მოხერხდა სვანიძის ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის გადარჩენა. 13 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ მინისტრის მადლობა გამოეცხადათ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს: ივანე მეურმიშვილს, ლაშა იობაშვილს და უჩა რაზმაძეს.
- ✓ 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შორის გაფორმდა მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში უსაფრთხო უნივერსიტეტის იდეიდან გამომდინარე მომავალში აქტიურად გაგრძელდება თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შორის სამოქალაქო უსაფრთხოების მიზნით უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალის და სტუდენტების დატრენინგების და თეორიული მეცადინეობების ჩატარების გზით.

- ✓ დაცვის სამსახურის პირად შემადგენლობას სისტემატიურად უტარდება სწავლება-ტრენინგები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.
- ✓ ამჟამად მოქმედ პრომის კანონმდებლობასთან სამუშაო პირობების შესაბამისობის მოყვანისა და პრომითი პირობების გაუმჯობესების მიზნით პირადი შემადგენლობა გადავიდა მუშაობის ახალ სამუშაო გრაფიკზე, ამჟამად დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები მორიგეობენ 4 დღეში ერთხელ 24 საათის განმავლობაში. აღნიშნულმა სამუშაო გრაფიკმა საშუალება მოგვცა უკეთესი კადრები მოგვეზიდა დაცვის და უსაფრთხოების სამსახურში და დღესდღეობით თსუ დაცვის და უსაფრთხოების სამსახური მსგავსი ტიპის სამსახურებს შორის სამუშაო პირობებით ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესოა.
- ✓ ექსპლუატაციის ვადის გასვლის გამო უნივერსიტეტის კუთვნილებაში არსებული 351 ცალი ცეცხლმაქრი თავიდან დაიშობა.
- ✓ 2015 წელს შემონგებული იქნა უნივერსიტეტის კორპუსებში გამათბობლების ექსპლოატაციის მდგომარეობა სახანძრო უსაფრთხოების კუთხით.
- ✓ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 323-ოთახში უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია და რადიო გადამცემი. შესაბამისად აღნიშნულ ობიექტზე სიგნალიზაციის კოდის მოხსნის, აყვანის ან განგაშის შემთხვევაში ინფორმაცია დაუყოვნებლივ ფიქსირდება დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ მართვის ცენტრში არსებულ სასიგნალიზაციო პულტზე, რაც საშუალებას იძლევა ცენტრალიზებულად გაკონტროლდეს ადგილზე არსებული ვითარება და მაქსიმალურად გამოირიცხოს 323-ე ოთახში უცხო პირის შესვლის ალბათობა.
- ✓ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის შენობაში №105 ოთახში არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია და რადიო გადამცემი. შესაბამისად აღნიშნულ ობიექტზე სიგნალიზაციის კოდის მოხსნის, აყვანის ან განგაშის შემთხვევაში ინფორმაცია დაუყოვნებლივ ფიქსირდება დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ მართვის ცენტრში არსებულ სასიგნალიზაციო პულტზე, რაც საშუალებას იძლევა ცენტრალიზებულად გაკონტროლდეს ადგილზე არსებული ვითარება და მაქსიმალურად გამოირიცხოს 105-ე ოთახში, აგრეთვე ტერიტორიის განვითარების ინსტიტუტში უცხო პირის შესვლის ალბათობა.
- ✓ სტამბის სანყოფინი მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია და რადიო გადამცემი. შესაბამისად აღნიშნულ ობიექტზე სიგნალიზაციის კოდის მოხსნის, აყვანის ან განგაშის შემთხვევაში ინფორმაცია დაუყოვნებლივ ფიქსირდება დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ მართვის ცენტრში არსებულ სასიგნალიზაციო პულტზე, რაც საშუალებას იძლევა ცენტრალიზებულად გაკონტროლდეს ადგილზე არსებული ვითარება და მაქსიმალურად გამოირიცხოს სტამბის სანყოფინი უცხო პირის შესვლის ალბათობა.
- ✓ თსუ-ს ბიოლოგების კორპუსში დამონტაჟებულ სიგნალიზაციაზე (200-ები, 300-ები, 400-ები) მეტი უსაფრთხოებისთვის დამატებით დამონტაჟებული იქნა მინის მსხვრევის დეტექტორები.
- ✓ ბიოლოგების კორპუსში 477-ე ოთახში არსებულ სიგნალიზაციაზე შეიცვალა დაზიანებული სარეზერვო კვების წყარო (აკუმულატორი).

- ✓ II კორპუსში განთავსებულ ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიაში შეიცვალა დაზიანებული სარემონტო კვების წყარო (აკუმულატორი).
- ✓ ბიოლოგიების კორპუსში განთავსებულ არქივში (ოთახი №429) არსებულ სიგნალიზაციაზე შეიცვალა დაზიანებული სარემონტო კვების წყარო (აკუმულატორი).
- ✓ მე-8 კორპუსის 211-ე ოთახში არსებულ სიგნალიზაციაზე შეიცვალა დაზიანებული სარემონტო კვების წყარო (აკუმულატორი).
- ✓ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტში გარემონტდა სასწავლო ფართი და მოეწყო რესურსცენტრი. აღნიშნულ ოთახში მატერიალურ ფასეულობათა დაცვის მიზნით დამონტაჟდა სიგნალიზაცია.
- ✓ უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსების გარე პერიმეტრი აღიჭურვა თანამედროვე ტიპის ციფრული ვიდეო კამერებით.
- ✓ უნივერსიტეტის მეორე კორპუსში 402, 403, 405 ოთახებში დამონტაჟდა პრეოქტორები. აღნიშნული ფასეულობების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან თავის არიდების მიზნით 402-ე, 403-ე და 405-ე ოთახების დერეფანში დამონტაჟდა ვიდეოკამერა. აგრეთვე აღნიშნული დერეფანი განსაკუთრებულად კონტროლდება პირადი შემადგენლობის მხრიდან სისტემატიური შემოვლების გზით.
- ✓ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში არსებულ წიგნების მალაზიაში დამონტაჟდა თანამედროვე სისტემის ციფრული ვიდეო კამერები.
- ✓ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დამონტაჟდა ვიდეო კამერები.
- ✓ თსუ ტერიტორიაზე შემოსული ავტომანქანების კონტროლის მიზნით დაიბეჭდა 600 ცალი სამანქანო საშვი, აგრეთვე დაიბეჭდა განსხვავებული დიზაინის საშვები, რომლების დაურიგდათ აკადემიური საბჭოს წევრებს. გამოიყო სპეციალური ადგილი, სადაც ავტომობილების გაჩერების უფლება აქვთ განსხვავებული დიზაინის საშვის მქონე აკადემიური საბჭოს წევრებს სხდომის დღეებში.
- ✓ 2015 წელს შექმნილი იქნა 50 ცალი სამსახურებრივი ფორმა. (დათბილული ქურთუკი).
- ✓ თსუ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის წერილის საფუძველზე შესწავლილი იქნა მეორე კორპუსის სპორტული დარბაზები უსაფრთხოების ზომების გატარების მიზნით. დარბაზებში დასამონტაჟებელი ვიდეო კამერების და სასიგნალიზაციო მოწყობილობების შექმნის შემდგომ დაუყოვნებლივ განხორციელდება მათი მონტაჟი და ექსპლოატაცია.
- ✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კორპუსის უკან ბაგების სტუდენტლექში გადასავლელ ფეხით მოსიარულეთა ხიდთან არსებულ საგუშაგოზე შეიცვალა დაცვის ჯიხური.
- ✓ შრომითი პირობების გაუმჯობესების მიზნით დაცვის თანამშრომლებისთვის უნივერსიტეტის მეხუთე და ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში არსებულ საგუშაგოებზე დამონტაჟდა დაცვის სამეთვალყურეო კუთხე.
- ✓ უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებს შორის შესასვლელ სამანქანო გზაზე დამონტაჟდა ავტომატური ბარიერი (შლაქბაუმი).
- ✓ 2015 წელს ჩვენს მიერ ა. ჩიქობავას ენათმეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის წერილის საფუძველზე ჩვენს მიერ განხორციელდა ინსტიტუტის შენობის სადღეღამისო დაცვით უზრუნველყოფა.

- ✓ ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევითი ცენტრის დასაცავად გახანგრძლივდა ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან.
- ✓ თსუ ობიექტებზე დამონტაჟებული საგანგაშო ღილაკების ფუნქციონირებისთვის გახანგრძლივდა ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან.
- ✓ ყოფილი მე-7 საავადმყოფოს დასაცავად გახანგრძლივდა ხელშეკრულება დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან.
- ✓ სპეცკავშირის სისტემით საკომუნიკაციო მომსახურების მიზნით გახანგრძლივდა ხელშეკრულება სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთან.
- ✓ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს შორის რადიოკავშირის უზრუნველყოფის, აგრეთვე დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში არსებული სასიგნალიზაციო პულტის ფუნქციონირების მიზნით განცხადებით მიემართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შესაბამისი სისშირეების ხელახლა მინიჭების მიზნით. (ნებართვა სისშირეებით სარგებლობის შესახებ მოქმედებს 1 წელი).
- ✓ დაცვის თანამშრომლებს შორის ხარისხიანი რადიო კავშირის უზრუნველყოფის მიზნით 2015 წელს გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება შპს საქართველოს ტელერადიოცენტრთან. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული რადიო გადამცემი განთავსებული შპს ტელერადიოცენტრის კუთვნილ რადიოტექნიკურ ანძაზე, რომელიც მდებარეობს მახათას მთაზე.

V. საქმიანობა კულტურისა და სპორტის სფეროში

TSU ART - 2015 წელს „TSU ART“-მა მონაწილეობა მიიღო ელექტრონული მუსიკის ფესტივალში „GEM Fest“, რომელშიც ასევე მონაწილეობდა, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული არტისტები: Armin Van Buuren, Booka Shade, David August, M.A.N.D.Y და სხვა. 2015 წელს, ჯგუფი მუშაობს პირველი სოლო ალბომის ჩანერაზე, სტუდია „ბრაგო რექორდსში“. 2016 წელს გაიმართება ალბომის პრეზენტაცია. თსუ-არტმა მონაწილეობა მიიღო თბილისის ფერების ფესტივალზე.

ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“- 2015 წლის 26 მაისს, ჩინეთის დედაქალაქ პეკინში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მიღება გაიმართა, სადაც ქართული ფოლკლორული ანსამბლ „რუსთავის“ და ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტის“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

2015 წელს ანსამბლმა ჩაწერა სადებიუტო მუსიკალური სოლო ალბომი, სტუდია „ბრაგო რექორდსში“. ალბომის პრეზენტაცია გაიმართება 2016 წელს, საზეიმო გარემოში.

ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“- თსუ-ს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ძალოსნობის ევროპის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

მან-სან-კან - 24-25 მარტი, შიდა ჩემპიონატის თამაშები; 27-28 ოქტომბერი - შიდა ჩემპიონატის ახალი სეზონის გახსნა, მერვედღიანალური თამაშები; 24-25 ნოემბერი - შიდა ჩემპიონატის მეოთხედღიანალური თამაშები; 23 დეკემბერი - მხიარულთა და საზრიანთა კლუბის, თსუ-ის ნაკრების ნაკრების საახალწლო კონცერტს;

2015 წლის საქართველოს რეგიონალური ლიგის მან-სან-კანის ჩემპიონატში თსუ-ის სახელით მონაწილეობა მიიღო გუნდმა „რაში“. გუნდი ფინალურ ეტაპში გამოეთიშა.

2015 წლის გამწვანებაში თსუ-ის მხიარულთა და საზრიანთა გუნდის ნაკრებმა გამოაცხადა ქასტინგი თსუ-ის სტუდენტებისთვის.

„**თსუ გორდელა**“- თბილისობა 2015-ის ფარგლებში გამართულ ეთნო მუსიკის კონცერტზე, მონაწილეობა მიიღო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლმა „თსუ გორდელამ“. ღონისძიება 18 ოქტომბერს, რიყის პარკში გაიმართა.

6 ოქტომბერს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით, ანდრეას ვანერისადმი და სებასტიან შმიდტისადმი თსუ საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიალი გაიმართა, რომელიც საზეიმო კონცერტმა დახურა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო „თსუ გორდელამ“.

3 ოქტომბერს, „თსუ გორდელა“ მიიწვიეს ხობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალზე. ფესტივალი მიეძღვნა ლეგენდარულ ანსამბლ „რუსთავს“ და თამარ გვერდნითელის შემოქმედებას. ორგანიზატორები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია და ხობის მუნიციპალიტეტი.

25 სექტემბერს ვერის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა „სტუდენტური კონცერტი 2015“. ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, თბილისის მერი დავით ნარმანია და მთავრობის სხვა წევრები. ღონისძიების მსვლელობის დროს, 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ქულების შედეგად უნივერსიტეტებში ჩარიცხული წარმატებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ. მათ შორის დაჯილდოვდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი პირველკურსელი: დავით სოსელია, ელენე ჯალაღონია და ნანა კვანტალიანი. საზეიმო კონცერტში მონაწილეობდა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლი - „თსუ გორდელა“.

სტუდენტური დღეები 2015 - საქართველოს სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ეგიდით 23 აპრილიდან 3 ივნისის ჩათვლით გაიმართა „სტუდენტური დღეები 2015“, რომელშიც საქართველოს ყველა აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელს მიეცა მონაწილეობის შესაძლებლობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჯამური, შედეგით, მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემდეგ. თსუ-ის ხალხური ცეკვების ანსამბლი „უნივერსიტეტი“ უიურის სიმპათია გახდა. პირველი ადგილი კი, ჩვენმა სტუდენტებმა, შემდეგ სახეობებში დაიკავეს: ჭადრაკი: ვაჟები: ზურა ჯავახიძე. ჭადრაკი: გოგონები - ანა შამათავა. გრეხეთბოლი: მიხეილ თევზაძე, ლაშა სიგუნავა. პეინტბოლი: მარიამ ყაველაშვილი, დავით ჯავახიშვილი, გიორგი ბარჯაძე, ლევან სარიშვილი. ამერიკული ფეხბურთი: თორნიკე თორღია, დემნა ხორბალაძე, ცოტნე გოგიშვილი, ბეჟან გელდიაშვილი, მირიან მარგალიტაძე, ბონდო ლომიძე, გიორგი ყურაშვილი, კოტე ალაფიძე.

რა? სად? როდის? - კახაბერ სამყურაშვილი, აკაკი მოსახლიშვილი, ანი სუბელიანი, ავთანდილ მაისურაძე, გიორგი ხომერიკი, დავით უორჟოლიანი
დებატები: ირაკლი ლუხომიძე, მერი დაუშვილი, გვანცა გურგენიძე
საუკეთესო დუეტი: ხვიჩა კვარაცხელია და ნინო გიორგაძე.

23 აპრილს 18:00 საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა, „სტუდენტური დღეები 2015-ის“ იუმორისტული დადგმის პირველი

ტურის საკონკურსო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა თსუ-ის „მან-სან-კანის“ ნაკრები გუნდი. თსუ გადავიდა მეორე ტურში, რომელიც გაიმართა 15 მაისს, ქალაქ რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სადაც გამოვლინდა იუმორისტული დადგმის გამარჯვებული გუნდი.

გაერთიანებული კონცერტი :14 დეკემბერი თსუ-ის ანსამბლების გაერთიანებული კონცერტი: მონაწილეობენ: „თსუ გორდელა“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“.

სარეკლამო ვიდეო რგოლი: დეკემბრის თვეში კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა გადაიღო სარეკლამო ვიდეო რგოლი უნივერსიტეტის შესახებ, რომლის ნახვაც შესაძლებელია სოციალურ ქსელებში.

ათლეთიზმი :თსუ 23, 24, 25 და 26 აპრილს, მსოფლიოს გლობალური Powerlifting-ის ალიანსის ეგიდით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა ევროპის ღია ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში, ძალისმიერ ორჭიდში, წოლჭიმსა და ამონევამი, შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 25 ქვეყნის 300 სპორტსმენი. თსუ გუნდი ჯამში 22 ოქროს მედალი.

კალათბურთი: 1).4 -5 ივნისი სტუდენტური დღეები, ქუჩის კალათბურთი. I ადგილი. 2) 22 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე ჩატარდა კალათბურთის სტუდენტური ლიგა. თსუ პირველ წრეში პირველ ადგილზე გავიდა. 3)ა ლიგის ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა IV ადგილი დაიკავა და შეინარჩუნა მომავალ სემონში ადგილი.

მაგიდის ჩოგბურთი: 1)სტუდენტური დღეები შერეული წყვილი(გოგო ,ვაჟი) I I I ადგილი. 2)უნივერსიადა გუნდური ვაჟები I ადგილი; 3) უნივერსიადა გუნდური გოგოები II ადგილი; 4) უნივერსიადა პირადი გოგოები I ადგილი.

მკლავჭიდი :3 მაისი სტუდენტური დღეები გუნდური II ადგილი.

ფრენბურთი: 1) 4-5 ივნისი სტუდენტური დღეები ქვიშის ფრენბურთი გოგონები II ადგილი; 2) 4-5 ივნისი სტუდენტური დღეები ქვიშის ფრენბურთი ვაჟები III ადგილი; 3) 10 დეკემბერი 18 დეკემბერი თბილისის სტუდენტური ოლიმპიადა 2015 გოგონები I ადგილი; 4) 4 დეკემბერი 23 დეკემბერი საქართველოს სტუდენტური ჩემპიონატი ფრენბურთში გოგონები I I ადგილი.

ფუტსალი: 1) 1 აპრილიდან 29 მაისამდე ჩატარდა ფუტსალში სტუდენტური ლიგა. III ადგილი. 2) ქ. ბათუმი ქვიშის ფეხბურთი 24-29 აგვისტო. I ადგილი. 3) 19 ოქტომბერი 18 დეკემბერი ფუტსალის სტუდენტური ლიგის თასის გათამაშება. I ადგილი.

სტუდენტური დღეები: „სტუდენტური დღეები 2015“ მეორე ადგილი უნივერსიტეტებს შორის 9 ორქოს მედალი.

უნივერსიადა: „საქართველოს უნივერსიადა 2015“ გუნდური IV ადგილი.

ველორბოლა (Cross Country Eliminator): მიხეილ გენაძე II ადგილი.

ზამთრის უნივერსიადა: 1) სნოუბორდი. კროსი ვაჟები: 1. დავით ბურდული I ადგილი; 2. ნიკა ბიჭიაშვილი II ადგილი; 3. მიხეილ თასოშვილი III ადგილი. 2) სნოუბორდი, თავისუფალი დაშვება ვაჟები: 1. მიხეილ თასოშვილი I ადგილი; 2. დავით ბურდული III ადგილი.

დადგენილება № 27/2016
29 თებერვალი, 2016

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 26.02.2016, №8645/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილებები „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართ №5-ში (სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო) და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (დანართი №5).
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი
პაპაია
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

აკადემიკოსი ვლადიმერ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ნებადართულია არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა) და ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

- ა) პროფესორი - თვეში 2500 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2000 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1500 ლარი.

„ბ“ კატეგორია

- ა) პროფესორი - თვეში 1875 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1500 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1125 ლარი.

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ აკადემიური

პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას, პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი და ეწევა სამეცნიერო – კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„გ“ კატეგორია

- ა) პროფესორი - თვეში 1250 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1000 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 750 ლარი.

3. „ა“, „ბ“ და „გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგოები გაიცემა, აკადემიური პერსონალის მიერ შესასრულებელი დატვირთვის შინაარსი და მოცულობა (მათ შორის გაანგარიშება) განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტით.

დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვამტკიცებ: თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დაწესებულების დასახელება

თარიღი " " წელი

